B2B გამოფენა 2018
სოციალური საწარმოები

www.segeorgia.org

B2B გამოფენა
სოციალური საწარმოები
2018

B2B გამოფენა 2018

მსოფლიოში მომხმარებელი სულ უფრო ხშირად ირჩევს ისეთი კომპანიის პროდუქტებს და მომსახურებას, რომელიც ადამიანებზე და გარემოზე ზრუნვას გულისხმობს. ბრენდების სოციალური მიზნები დღითიდღე იზრდება და ეს ტენდენცია საქართველოშიც ძალიან შესამჩნევია. სასარგებლო ბიზნესმოდელი თანამედროვე და პროგრესული ბრენდების არჩევანია.

2018 წელს, უკვე მეორედ, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG)“ ინიციატივით გაიმართა სოციალური საწარმოების B2B გამოფენა.

ღონისძიების ფორმატი მიზნად ისახავს სოციალურ საწარმოებსა და ბიზნეს სექტორს შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარებას, სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციასა და საქართველოში მისი განვითარების ხელშეწყობას. ღონისძიებაზე გამოიფინა საქართველოში მოქმედი წარმატებული სოციალური საწარმოების მრავალფეროვანი პროდუქცია და მომსახურება. გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები ბიზნეს კომპანიებსა და სოციალურ საწარმოებს შორის სამომავლო თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

B2B გამოფენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედმა 45-მდე სოციალურმა საწარმომ, წამყვანი ბიზნეს, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებმა.

ღონისძიების ორგანიზატორი	მთავარი პარტნიორი	ვერცხლისსპონსორები
CSRDG	საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA	APM TERMINALS; FINCA Bank; 20

სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობა არის ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობა, რომლის უპირველესი მიზანი სოციალური ხასიათისაა და გულისხმობს თემში არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, მიღებული მოგება კი რეინვესტირდება დასახული სოციალური მიზნების მისაღწევად ან/და ხმარდება ორგანიზაციულ გაძლიერებას. სოციალური მეწარმეობის კონცეფცია ეკონომიკურ მოგებას განიხილავს, როგორც სოციალური მისიის შესრულების საშუალებას და არა როგორც მეწილეების და მფლობელების პირადი კეთილდღეობის ზრდის შესაძლებლობას.

სოციალური საწარმო

სოციალური საწარმო არის ბიზნეს პრინციპებით მოქმედი საწარმო, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული სოციალური მისია. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. სოციალური საწარმოს მოგება არ იზომება მხოლოდ ფინანსური წარმატებით, გაცილებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი სოციალური პრობლემების მოგვარებაში.

სოციალური საწარმოები კერძო სექტორში ამკვიდრებენ ეთიკურ სტანდარტებს, ხოლო საზოგადოებრივ სექტორს აძლევენ შესაძლებლობას ინოვაციური ბიზნეს მიდგომებით უპასუხონ არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)“ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1995 წელს და იგი სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის 23 წელს ითვლის.

CSRDG, დაარსების დღიდან, ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთელ საზოგადოებას

CSRDG წლების განმავლობაში ეფექტურად საქმიანობს ქვეყნის განვითარების ისეთ სტრატეგიულ სფეროებში, როგორებიცაა: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, სოციალური მეწარმეობა, თემის განვითარება, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა, კარგი მმართველობა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და მომხმარებლის უფლებების დაცვა.

წლების განმავლობაში „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ დაიმკვიდრა ძლიერი კვლევითი და ექსპერტული ორგანიზაციის, ასევე სანდო პარტნიორისა და პაქტიკული, განვითარებაზე მიმართული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის სახელი.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა 2009 წელს დაიწყო. მის ბაზაზე შეიქმნა სტრუქტურული ერთეული „სოციალური მეწარმეობის ცენტრი“. CSRDG-ის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარებით უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ უკეთ შეძლონ სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევა და სამიზნე ჯგუფების

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2009 წლის შემდგომ, CSRDG:

- სოციალური მეწარმეების და თემით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მათ საჭიროებაზე მორგებული ექსპერტული დახმარების და ინსტიტუციური გაძლიერების სერვისებს;

- დამწყები სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს პერიოდულ კონსულტაციებს;

- მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივაზე;

- გამოსცემს პუბლიკაციებს;

- უზრუნველყოფს კონცეფციის განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებას;

- მართავს საპოპულარიზაციო და კავშირუთიერთობების გაღრმავების ღონისძიებებს.

- მუშაობს სოციალური საწარმოებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური და მდგრადი დაფინანსების წყაროების გაჩენაზე - მიკროკრედიტების და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის სახით.

დაინტერესებული პირების ინფორმაციული მხარდაჭერა ხორციელდება საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-პორტალის – www.segorgia.org და სოციალური ქსელების საშუალებით. ჩამოთვლილ ინტერნეტ-რესურსებზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და ორგანიზაციას შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს საჭირო ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების საქმეში ახალგაზრდების ნოვატორული და შემოქმედებითი პოტენციალის ინტეგრირების მიზნით "ცენტრი" აქტიურად მუშაობს და თანამშრომლობს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.

შინაარსი

ტრადიციული რეწვა
1. ამფორეა
2. არაბული არტ-ჰაუსი
3. ეთნოდიზაინი
4. იკორთა
5. ისტორიალი
6. კარავი
7. ნუკრიანის სახელოსნოები
8. პოტერია
9. ფარშევანგი

შემეცნებითი საშუალებები
10. აი კუბი
11. არბო
12. დადარი
13. კოდალა
14. ჩუ
15. ჰერა

გარემოს დაცვა
16. მწვანე საჩუქარი
17. კავკასიური სოჭის სანერგე

დეკორაციები და საყოფაცხოვრებო ნივთები
18.ბაბალე
19. სოციალური თერაპიის სახლი
20. ტრენტინო
21. წნული

ნატურალური პროდუქტები
22.აგამა
23. აგრო აგორა
24. თემი
25. ერთად
26. ლელის თაფლი
27. სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი

სერვისები
28. გუმბათი
29. თავისუფალი სივრცე
30. იალონი
31. მეგობარი
32. მზიურის კაფე
33. ოჩოკემპი
34. რვას + 1
35. ჩირდილი - ხევსურეთის ტურისტული ცენტრი
36. ცოდნის კაფე და საცხობი ჭკვიანი გემო

სოციალური სერვისები
37. მუსთერაპიული ცენტრი
38. სახლი საზღვრების გარეშე
39. დღეგრძელთა სახლი ანასეულში
40. ცისარტყელა

ტრადიციული რეწვა

1. ამფორეა
2. არაბული არტ-ჰაუსი
3. ეთნოდიზაინი
4. იკორთა
5. ისტორიალი
6. კარავი
7. ნუკრიანის სახელოსნოები
8. პოტერია
9. ფარშევანგი

1. ამფორეა

ᲐᲛᲤᲝᲠᲔᲐ AMPHORHEA
ᲮᲔᲚᲜᲐᲙᲔᲗᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ HANDMADE

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „ამფორეა“ 2017 წელს დაარსდა. საწარმო მოიცავს კერამიკულ სახელოსნოს, რომელიც აღჭურვილია მაღალხარისხიანი ღუმელებით, და ხელნაკეთი ნივთების მაღაზიას. კერამიკული სახელოსნოს პედაგოგებს და თანამშრომლებს ცნობილი ქართველი კერამიკოსების მიერ ჩაუტარდათ მასტერკლასები, რამაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და გაზარდა მისი ხარისხი.

სოციალური საწარმოს მისია

განვითარების თავისებურების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

„ამფორეას“ პროდუქციას, ძირითადად, სასუვენირო-ტურისტული დატვირთვა აქვს. სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის ხელნაკეთი კერამიკის როგორც სასუვენირე, ისე გამოყენებითი სახის პროდუქციას.

სოციალური შედეგები

საწარმოში დასაქმებული 7 ადამიანიდან 2 შშმ პირია. მათთან ერთად წარმოების პროცესში კიდევ 4 ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ახალგაზრდაა ჩართული.

საკონტაქტო ინფორმაცია

ელისო რეხვიაშვილი
else@caucasus.net
+995599577541
FB: @amphorhea
ჭონქაძის 29, თბილისი, საქართველო.

2. არაბული არტ-ჰაუსი

ხელოვნების სახლი ხევსურეთში

სოციალური საწარმოს შესახებ

ხევსურეთის სოფელ კორშაში მცხოვრებმა არაბულების ოჯახმა ტრადიციების გაცოცხლების, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერებისა და მიგრაციის პროცესის შეჩერების მიზნით, 2015 წელს შექმნა ტრადიციული რეწვის სახელოსნო „არაბული არტ-ჰაუსი“.

სახელოსნო ორ სივრცეს აერთიანებს, სამუშაო დარბაზს - სადაც ეწყობა მასტერკლასები ტურისტებისთვის და ადგილობრივი მოსწავლეებისთვის და შოურუმს - სადაც წარმოდგენილია ქართულ ტრადიციულ მოტივებზე შექმნილი სამოსი და სხვა აქსესუარები.

სოციალური საწარმოს მისია

ხევსურეთის თემის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება მათი დასაქმების ხელშეწყობით; ტრადიციების პოპულარიზაცია ისტორიულ მოტივებზე შექმნილი პროდუქციის რეალიზაციითა და საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ქართულ ტრადიციულ მოტივებზე შექმნილ მრავალფეროვან პროდუქციას:

- ჩანთა;
- ნაქარგი ქამარი;
- ნაქარგი სამაჯური;
- ხის ზარდახშები და სუვენირები;
- ხევსურეთში აღმოჩენილი პიქტოგრამული დამწერლობის დეტალებით გაფორმებული სამკაულები;
- თანამედროვე ტანსაცმელი ხევსურული ორნამენტებით გაფორმებული დეტალებით და ა.შ.

დაინტერესების შემთხვევაში, ტურისტული ჯგუფებისთვის სახელოსნოში ტარდება ხეზე კვეთისა და ქარგვის ვორქშოფი.

სოციალური შედეგები

საწარმოში დასაქმებულია 6 ადგილობრივი მოსახლე, რომელთათვისაც ადგილზე დასაქმების სხვა ალტერნატიული ადგილი მიუწვდომელია.
ბარისახოს თემში არსებული სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ შეესწავლათ ტრადიციული ხელსაქმე.

საკონტაქტო ინფორმაცია

ნინო არაბული; ბერდია არაბული; მარინა გიგაური

(+995)555263368; (+995)599711156; (+995)577348435

arabuliarthouse@gmail.com

www.arabuliarthouse.ge

FB: @arthousearabuli

სოფელი კორშა, დუშეთის რაიონი, საქართველო

ტრადიციული რეწვა

3. ეთნოდიზაინი

ტრადიციული რეწვის პროდუქცია
თანამედროვე ტენდენციებით

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური მაღაზია „ეთნოდიზაინი“ წარმოადგენს კონცეპტუალურ მაღაზიას, რომელიც დაფუძნდა 2015 წელს და თავს უყრის თბილისსა და რეგიონებში 250-მდე ტრადიციული რეწვის ოსტატის შექმნილ მაღალი ხარისხის ხელნაკეთ პროდუქციას.
თბილისში მდებარე მაღაზია მალე გახდა პოპულარული და მიაღწია ფინანსურ მდგრადობას. შედეგად, 2017 წელს, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე გაიხსნა „ეთნოდიზაინის“ კიდევ ერთი სოციალური მაღაზია, რამაც ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის გაყიდვები 3-ჯერ გაზარდა.

სოციალური საწარმოს მისია

ტრადიციული რეწვის ოსტატების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი პროდუქციის ხარისხის და დიზაინის განვითარებითა და გაყიდვების ხელშეწყობით.
სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი
მაღაზიის ერთიანი კონცეფციის თანახმად, წარმოდგენილი პროდუქცია აერთიანებს ქართულ ტრადიციულ და ამავე დროს, ინოვაციურ ელემენტებს, რომელიც მორგებულია თანამედროვე ბაზრის მოთხოვნილებებს და შესაბამისად ადგილობრივი და საერთაშორისო მომხმარებლისთვის განსაკუთრებით მოსაწონ პროდუქტს წარმოადგენს.
თბილისსა და ვარძიაში მდებარე მაღაზიებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, გემოვნებიანი და განსახვავებული პროდუქცია:

- აქსესუარები (ქალის და მამაკაცის);
- საყოფაცხოვრებო ნივთები;
- ინტერიერის აქსესუარები;
- სამკაული;
- სამოსის აქსესუარები;
- ტრადიციული იარაღი;
- ხალიჩა/ფარდაგები;
- სუვენირები.

სოციალური შედეგები

- შეიქმნა ნამუშევრების ახალი კოლექციები;
- ოსტატებთან მუდმივი თანამშრომლობის შედეგად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაუმჯობესდა სახელოსნოების ინფრასტრუქტურა;
- გაიზარდა ტრადიციული ხელსაქმის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ეთნოდიზაინის მაღაზიებში პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოსტატის ყოველთვიური შემოსავალი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ირინა მანია
(+995)593906848
info@crafts.ge
www.crafts.ge
FB: @ethnodesignsocielshop
გ. ახვლედიანის #23, თბილისი, საქართველო
ვარძიის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ ნაკრძალი, ასპინძა, საქართველო

ტრადიციული რეწვა

4. იკორთა

ტიხრული მინანქრის
სახელოსნო წეროვანში

სოციალური საწარმოს შესახებ

ტიხრული მინანქრის სახელოსნო „იკორთამ“ საქმიანობა 2011 წელს, წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ქალების მიერ მოპოვებული მცირე ინვესტიციით დაიწყო.
დღეს უკვე წარმატებული მინანქრის სახელოსნო დევნილთა დასახლებაში ქმნის სამოქალაქო და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

სოციალური საწარმოს მისია

წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, რისთვისაც საწარმო ასაქმებს სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიული გადამზადების კურსებს.
სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი
იკორთას ტიხრული მინანქრის სახელოსნოში ძველი ქართული ტექნოლოგიის გამოყენებით მზადდება

სხვადასხვა სახეობის სამკაულები და აქსესუარები:

- ბეჭედი;
- საყურე;
- გულსაკიდი;
- პერანგის სამაგრი;
- ბროში;
- სამაჯური.

პროდუქციის შექმნისას გამოიყენება, როგორც ტრადიციული ორნამენტები, ასევე თანამედროვე ტენდენციები.
დღეისთვის, იკორთაში დამზადებული სამკაულების და აქსესუარების შეძენა შესაძლებელია თბილისის, მცხეთის და ვარძიის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიებში.
კორპორაციული დაკვეთის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა ნივთზე მინანქრის დეტალის დატანა, რაც ნივთს განსაკუთრებულ იერსახეს ანიჭებს.

2014 წლიდან, სახელოსნ
ikortainfo@gmail.com
www.ikorta.com
@ikortaenterpriseო დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მინანქრის მასტერკლასს „შექმენი შენი საკუთარი“.

სოციალური შედეგები

- საწარმოში დასაქმებულია 10 იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთათვისაც დასაქმების ალტერნატიული ადგილი მიუწვდომელია;
- დასაქმებულთა ანაზღაურება მზარდია და შეესაბამება შრომითი ბაზრის ტენდენციებს;
- საწარმოდან მიღებული მოგებით დამფუძნებელი ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისთვის“ ახორციელებს პროფესიული გადამზადების კურსებს და სხვადასხვა აქტივობებს;

საკონტაქტო ინფორმაცია

წეროვანის დევნილთა დასახლება, ქუჩა #12, კოტეჯი #1963, საქართველო
ნანა ჩქარეული
(+995)599410250

ტრადიციული რეწვა

5. ისტორიალი

გამორჩეული საჩუქარი საქართველოდან

სოციალური საწარმოს შესახებ

ქართული კულტურის სექტორის ეკონომიკური მდგრადობისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით, არტ-ჯგუფი „ისტორიალი“-ს გუნდი მრავალწლიანი გამოცდილებით უძველეს ისტორიას თანამედროვე დიზაინში აცოცხლებს.

2000 წლიდან ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში მოქმედი პროგრამის ფარგლებში შექმნილი საწარმო 2012 წელს ჩამოყალიბდა როგორც სოციალური ბიზნესი. დღეს „ისტორიალი“ უკვე წარმატებული და ცნობადი ბრენდია, რომლის პროდუქციას ხშირად ჩუქნიან სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციებს და საპატიო სტუმრებს.

სოციალური საწარმოს მისია

ქართული კულტურის, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის სექტორის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და ცნობადობის ამაღლება.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

„ისტორიალი“ საქართველოს ისტორიის და კულტურული მემკვიდრეობის თემატიკაზე შექმნილ გამოყენებით-დეკორატიულ და სასაჩუქრე პროდუქციის რამოდენიმე ხაზს სთავაზობს მომხარებელს, კერძოდ:

- ქალის და მამაკაცის სამკაულს;
- კორპორატიულ სასაჩუქრე ნივთებს - მცირე დეკორატიულ ქანდაკებებს;
- სუფრის და საოფისე აქსესუარებს;
- ისტორიულ-დეკორატიული თასების ასლებს და მხატვრულ ინსპირაციებს.

„ისტორიალი“-ს მიზანია შეინარჩუნოს ნივთის ისტორიული ღირებულება და ამასთანავე, მიუსადაგოს თანამედროვეობას. კოლექცია 200-მდე ნივთს აერთიანებს, შექმნილს ლითონმქანდაკებლობის (ვერცხლი, თითბერი, ბრინჯაო), კერამიკის და ტექსტილზე ბეჭდვის ტექნოლოგიებით.

სოციალური შედეგები

- საწარმოში დასაქმებულია 25-მდე ოსტატი, რომლებიც ემსახურებიან კოლექციის შექმნას: ჩამოსხმა, ხელით დამუშავება, კერვა, შეფუთვა, ა.შ.;
- მიღებული მოგება ხმარდება ტრადიციული რეწვის სექტორის განვითარებას, საქართველოს კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლებას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ მიმართული პროექტების განხორციელებას;
- ისტორიალის საქმიანობის შედეგად კულტურის სექტორში გაჩნდა ბიზნეს მიდგომა, რაც ზრდის სფეროს მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ დვალიშვილი

(032)2931335; (032)2921335 info@istoriali.ge www.istoriali.ge

FB:@ISTORIALI

ნიკო ნიკოლაძის #7, თბილისი, 0108, საქართველო

HISORY

6. კარავი

რეწვის ოსტატთა
შემოქმედებითი სახელოსნო ქუთაისში

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო "კარავი" შეიქმნა 2018 წელს, ა.ა.ი.პ. კულტურისა და ინოვაციების საერთაშორისო ჰაბის ბაზაზე. ის აერთიანებს იმერეთის რეგიონში მცხოვრებ ტრადიციული რეწვის ოსტატებს, ახალგაზრდებსა და შშმ პირებს. საწარმო ემსახურება შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება-მხარდაჭერას რეგიონის მასშტაბით.

სოციალური საწარმოს მისია

ტრადიციული რეწვის დარგში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, ოსტატების მხარდაჭერა მათ მიერ შექმნილი პროდუქციის განვითარებასა და რეალიზებაში; ასევე, სფეროში ინოვაციების დანერგვა და მათი პოპულარიზაცია.

სოც. საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სახელოსნო "კარავი" აწარმოებს მრავალფეროვან პროდუქციას,კერძოდ:

- ქალისა და მამაკაცის აქსესუარებს;
- დეკორატიულ ნივთებს;
- სუვენირებს.

წარმოებისას ოსტატები ძირითადად იყენებენ პირველადი გადამუშავების შედეგად ნარჩენ ისეთ ბუნებრივ მასალებს, როგორიც არის ხე, ტყავი, მინერალური ქვები და ა.შ. "კარავის" ნაწარმში შეხვდებით, როგორც ქართული არტეფაქტებიდან აღებულ ორნამენტებს, ასევე რადიკალურად განსხვავებულ, თანამედროვე ტრენდებით შექმნილ პროდუქციას. ხელნაკეთი ნივთების შეძენა შესაძლებელია ონლაინ მაღაზიის მეშვეობით და სპეციალურ გამოფენა-გაყიდვებზე.

სოციალური შედეგები

- საწარმოში დასაქმებულია 4, ხოლო სრულიად სარეალიზაციო პროცესში დამატებით 12 ოსტატი.
- საწარმო უზრუნველყოფს ოსტატთა მიერ შექმნილი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას და პოპულარიზაციას.
- მიღებული მოგებით ხდება საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა.

საკონტაქტო ინფორმაცია

თინათინ ბარაბაძე
(+995) 599550165
se.karavi1@gmail.com
FB:@კარავი•Karavi
გუგუნავას ქ. 2/15; ქუთაისი, საქართველო

ტრადიციული რეწვა

7. ნუკრიანის სახელოსნოები

ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნო

სოციალური საწარმოს შესახებ

ნუკრიანში მდებარე შემოქმედებითი სახელოსნო ემსახურება სოფლად მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციისა და დასაქმების შესაძლებლობების გაჩენას.

2007 წლიდან, ადგილობრივი ახალგაზრდები და ქალები ტრადიციული ხელსაქმის მრავალფეროვან პროდუქციას ქმნიან.

სოციალური საწარმოს მისია

ნუკრიანში მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზების საშუალების მიცემა მათი დასაქმებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სახელოსნოში ხელით იქმნება ქვილთის, თექის და ტექსტილის დეკორატიული და პრაქტიკული გამოყენების ნივთები და აქსესუარები:

- ჩანთა;
- კედლის პანო;
- მაგიდის გადასაფარებელი;
- დეკორატიული ბალიშები;
- სათამაშოები და სუვენირები.

ტურისტულ ჯგუფებს, მათი ინტერესებისა და დროის ფაქტორის გათვალისწინებით სახელოსნო სთავაზობს ხელსაქმის შემსწავლელ ვორქშოფებს.

სოციალური შედეგები

- ნუკრიანის სახელოსნოებში დასაქმებულია 7 ადგილობრივი ქალი, რომელთათვისაც დასაქმების ალტერნატიული ადგილი მიუწვდომ

- დასაქმებულებისთვის სივრცე წარმოადგენს სოციალიზაციის საშუალებას;

  საწარმო ხელს უწყობს ტრადიციულ მოტივებზე შექმნილი პროდუქციის პოპულარიზაციას;

- მიღებული მოგებით სათემო ორგანიზაცია „ნუკრიანი“ ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის გააქტიურებას ემსახურება.

საკონტაქტო ინფორმაცია

მაია ბიძინაშვილი
(+995)577202111
cun.nukriani@yahoo.com
FB: ნუკრიანის სახელოსნოები nukriani workshops
www.nukriani.ge
სოფელი ნუკრიანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, საქართველო

ტრადიციული რეწვა

8.პოტერია

თიხისა და კერამიკის ხელნაკეთი ნივთების სახელოსნო

სოციალური საწარმოს შესახებ

ქართული ტრადიციული რეწვის დარგის - თიხისა და კერამიკის დამუშავების ტექნიკის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის 2018 წელს, პროფესიონალთა გუნდმა შექმნა თიხისა და კერამიკის ხელნაკეთი ნივთების სახელოსნო „პოტერია“.

სოციალური სახელოსნო ასაქმებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ქალებს კერამიკის წარმოებაში, რაც ორმაგად მნიშვნელოვანია ვინაიდან მიზნობრივი ჯგუფის პროფესიულ გადამზადება - დასაქმებასთან ერთად, მოიცავს ასევე ერთგვარ არტ თერაპიას, რომელიც მათ რეინტეგრაციას უწყობს ხელს.

სოციალური საწარმოს მისია

კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი პროფესიის ათვისებითა და შემოქმედებით სახელოსნოში დასაქმების მეშვეობით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ორი სახის პროდუქტს:

- თეთრი თიხისგან დამზადებულ ე.წ. უტილის სხვადასახვა სახის პროდუქტს;
- თეთრი თიხისგან დამზადებულ მზა სასუვენირო პროდუქტს დაბეჭდილი გამოსახულებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

მედო კევლიშვილი
(+995) 577979950
potteria.se@gmail.com
მ. წინამძღვრიშვილის #60, თბილისი,საქართველო

9. ფარშევანგი

სოციალური საწარმო
ფარშევანგი

ქვილინგის ტექნიკით დამზადებული პროდუქცია და ინკლუზიური განათლების დამხმარე მასალები

სოციალური საწარმოს შესახებ

ქვილინგის ტექნიკის გამოყენებით მრავალფეროვანი პროდუქციის და ინკლუზიური განათლების დამხმარე მასალების საწარმო „ფარშევანგი“ 2014 წელს ქ. ქუთაისში დაფუძნდა. საწარმოს იდეა შეექმნათ განსხვავებული დიზაინის მისალოცი ბარათები და აქსესუარები, მალე იქცა წარმატებულ ბიზნეს საქმიანობად, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი პირების დასაქმებას ემსახურება.

შემოქმედებითი მიდგომა საწარმოს გუნდის მთავარი მახასიათებელია, სწორედ ამიტომ პროდუქცია ყოველთვის გამოირჩევა ნათელი ფერებითა და საინტერესო დიზაინით.

სოციალური საწარმოს მისია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი პირების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სამუშაო ადგილების შექმნითა და დასაქმებით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

საწარმო მომხმარებელს ქვილინგის ტექნიკით (ქვილინგი - ქაღალდის დახვევის უძველესი ხელოვნება) დაზადებულ პროდუქციას და ინკლუზიური განათლების დამხმარე მასალებს სთავაზობს, კერძოდ:

- მისალოცი ბარათები (საახალწლო, საქორწილო, საბავშვო, სხვადასხვა სადღესასწაულო);
- სასაჩუქრე ყუთები და მოსაწვევები;
- სუვენირები;
- განმავითარებელი სახელმძღვანელოები.

კორპორაციულ მომხმარებელს „ფარშევანგის“ გუნდი მათ მოთხოვნებზე მორგებულ პროდუქციას სთავაზობს.

სოციალური შედეგები

- საწარმოში დასაქმებულია 11 პირი, მათ შორის 6 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა;
- დასაქმებულთა ანაზღაურება მზარდია;
- ქვილინგის შემსწავლელი უფასო კურსების მეშვეობით, საწარმოში 59-მა პირმა შეისწავლა მისალოცი ბარათებისა და სუვენირების დამზადება;

საკონტაქტო ინფორმაცია

ფერიდე ლორია
(+995) 557492304
farshevangi1@gmail.com
FB: @farshevangi1
დუმბაძის 59/61, ქუთაისი, საქართველო

ტრადიციული რეწვა

შემეცნებითი საშუალებები

10. აი კუბი
11. არბო
12. დადარი
13. კოდალა
14. ჩუ
15. ჰერა

10. აი კუბი

განმავითარებელი სამაგიდო სათამაშო

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „აი კუბი“ 2017 წელს შეიქმნა ინოვაციური და შემოქმედებითი ხედვის მქონე სტუდენტების მიერ.

აი კუბის სათამაშო ხელს უწყობს ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებას, მაგალითად: წერა–კითხვის, ლოგიკური აზროვნების, სიტყვათა მარაგისა და წვრილი მოტორიკის.

სოციალური საწარმოს მისია

სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ბარიერების დარღვევითა და განვითარების თანაბარი პირობების შექმნით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

აი კუბი არის ეკოლოგიურად სუფთა, ადაპტირებული, ფაზლის ტიპის ასაწყობი ანბანი, რომელიც შეიძლება აეწყოს სიბრტყეზე და მოცულობით ობიექტად (კუბი). ფაზლის თითოეულ ელემენტზე ამოტვიფრულია გამჭოლი ჭრილის ქართული ანბანის ასო, მისი შესატყვისი ლათინური და ბრაილის შრიფტი. კუბზე არსებული ჭრილის მეშვეობით შესაძლებელი მასში ფანქრის შემოტარებით ასოს მოხაზვა; მისი, როგორც სტენსილის გამოყენება; რამდენიმე კუბით სხვადასხვა ფორმებისა და ნივთების გაკეთება.

საკონტაქტო ინფორმაცია

ირაკლი ჩაფიძე

(+995)579036456

aikubigeo@gmail.com

FB:@aikubi

ეკა ბეჟანიშვილის #8ა, თბილისი,საქართველო

K'
U
B
I

11. არბო

ეკოლოგიურად სუფთა ხის ავეჯი, სათამაშოები და მოედნები

სოციალური საწარმოს შესახებ

ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო, ხის პროდუქციის საწარმო „არბო ჯგუფი“ 2010 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ბაზარზე. „არბო ჯგუფის“ მიერ შექმნილი პროდუქცია უნიკალურია თავისი მახასიათებლებით, დიზაინით და მორგებულია მომხმარებლის საჭიროებაზე.

სოციალური საწარმოს მისია

შრომის ბაზარზე ნაკლებად პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი პირების პროფესიული უნარების განვითარება, დასაქმება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

„არბო ჯგუფი“ მომხმარებელს რამდენიმე კატეგორიის პროდუქტს სთავაზობს:

- ეკოლოგიურად სუფთა ხის სათამაშო-სპორტული მოედნები;
- მცირე ზომის სათამაშო ავეჯი;
- საბავშვო ავეჯი (საწოლი; კარადა; სასწავლო მაგიდა; ა.შ.)

პროდუქციის დასამზადებლად გამოყენებული მასალა უსაფრთხოა ბავშვების ჯანმრთელობისთვის, შეესაბამება საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებს და ამავდროულად მოპოვებულია ყველა საჭირო პროცედურის დაცვით.

სათამაშო - სპორტული მოედნები

გამოიყენება აკაციის მასალა, რომელიც მზადდება გამოხშირვის მეთოდით და შემდგომ ხდება მისი კულტივირება, შესაბამისად არ აზიანებს გარემოს.

მცირე ზომის სათამაშო და საბავშვო ავეჯი

გამოიყენება წიფელი, რომლის შესყიდვასაც საწარმო ახდენს მხოლოდ იმ მომწოდებლებისგან,

რომლებიც იცავენ ხის ჭრის საჭირო პროცეუდურებს.

დამუშავების მეთოდი

ფიზიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად პროდუქტს გლუვი ზედაპირი და დამუშავებული წახნაგები აქვს; ზედაპირი დაფარულია სათამაშოებისთვის განკუთვნილი ცვილნარევი ზეთებით და ბუნებრივი პიგმენტით დამზადებული საღებავებით, რომლებიც არ შეიცავენ მძიმე მეტალებს და შეესაბამებიან სათამაშოს უსაფრთხოების ევროპულ სტანდარტს (DIN EN71).

სოციალური შედეგები

- საწარმო ასაქმებს 3 ყოფილ მსჯავრდებულს;
- სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები იღებენ შრომითი ბაზრის შესაბამის ანაზღაურებას;
- საწარმომ საქმიანობის მანძილზე სხვადასხვა სამინზე ჯგუფის ათეულობით წარმომადგენლის გადამზადება უზრუნველყო;
- წარმოებული პროდუქცია უსაფრთხოა ბავშვებისთვის, არ აზიანებს მათ ჯანმრთელობას.

საკონტაქტო ინფორმაცია

ალექსანდრე პოლოლიკაშვილი

(+995)599640020

arbo.tbilisi@gmail.com

www.arboland.ge/

FB: ArboLand არბოლენდი

საგურამოს #3, მცხეთა, საქართველო

შემეცნებითი საშუალებები

12. დადარი

ეკოლოგიურად სუფთა, ხის ხელნაკეთი სათამაშოები,
სუვენირები და დეკორატიული ნაკეთობები.

სოციალური საწარმოს შესახებ

ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის, ხელნაკეთი სათამაშოების საწარმო "დადარი" 2018 წელს დაარსდა. სათამაშოები მალევე გახდა მოთხოვნადი და წარმატებული როგორც საქართველოში, ასევე ევროპასა და ამერიკაში. მაღალხარისხიანი პროდუქტის წყალობით, საწარმომ ადგილი დაიმკვიდრა სათამაშოების სფეროში და შეიძინა ერთგული მომხმარებლები.

სოციალური საწარმოს მისია

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი პროფესიული უნარების განვითარებით, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებითა და დასაქმებით.

სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანების ერთობლივი მუშაობით, ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის სათამაშოების დამზადება.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო "დადარი" მომხმარებელს სთავაზობს ეკოლოგიურად სუფთა, ხის ხელნაკეთ სათამაშოებს:

- ცხოველთა სამყარო;
- ფრინველთა სამყარო;
- სხვადასხვა საამწყობო და შემეცნებითი სათამაშოები;
- ფაზლები;
- ჩვილის სათამაშოები;
- თოჯინები;
- დინოზავრები და ა.შ.

კორპორციული შეკვეთისას საწარმო ამზადებს ხის ხელნაკეთ სამახსოვრო ნივთებს (სუვენირებს), ხის ჭურჭელს, ზარდახშებს, სანათებს, დეკორატიულ ნივთებს, ა.შ.

პროდუქციის დასამზადებლად გამოყენებული მასალა უსაფრთხოა ბავშვების ჯანმრთელობისთვის, შეესაბამება საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებს და ამავდროულად მოპოვებულია ყველა საჭირო პროცედურის დაცვით.

სათამაშოების ძირითადი ნაწილი მზადდება მაღალი ხარისხის ნეკერჩხლის და ცაცხვის ხის ჯიშებიგან, ზედაპირი დაფარულია სათამაშოებისთვის განკუთვნილი ცვილნარევი ზეთებით, ლაქით და ბუნებრივი პიგმენტით დამზადებული საღებავებით, რომლებიც არ შეიცავენ მძიმე მეტალებს და შეესაბამებიან სათამაშოს უსაფრთხოების ევროპულ სტანდარტს (DIN EN71).

სოციალური შედეგები

- საწარმოში გადამზადება გაიარა და ახალი უნარ-ჩვევები შეიძინა 7-მა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანმა;
- არაფორმალური და ეფექტური სწავლების შედეგად ისინი წარმატებით დაეუფლენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს და შედეგად 3 მათგანი დასაქმდა საწარმოში;
- დასაქმებულ პირთა ანაზღაურება შეესაბამება შრომითი ბაზრის განაკვეთს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

არჩილ გობეჯიშვილი

(+995) 595915134 dadarisocial@gmail.com

FB: Dadari - დადარი

ჰუალინგი - თბილისის ზღვის პლაზა

შემეცნებითი საშუალებები

13. კოდალა

ეკოლოგიურად სუფთა ხის პროდუქცია

სოციალური საწარმოს შესახებ

2013 წელს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“ ინიციატივით შეიქმნა ხის პროდუქციის საწარმო „კოდალა“.

სახელოსნოში დასაქმებული პირები, რომელთა უმრავლესობაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, ამზადებენ ეკოლოგიურად სუფთა, ხის სათამაშოებსა და სუვენირებს. პროდუქცია უსაფრთხოა და ამავდროულად ხელს უწყობს ბავშვის წარმოსახვის, მეხსიერებისა და მოტორული უნარების განვითარებას.

კორპორაციული მომხმარებლებისთვის საწარმო ქმნის მათ საჭიროებებზე მორგებულ ხის პროდუქციას.

სოციალური საწარმოს მისია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რესოციალიზაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის გზით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო „კოდალას“ პროდუქცია სრულიად უსაფრთხოა ბავშვებისათვის და შეესაბამება სათამაშოს უსაფრთხოების ევროპულ სტანდარტს -EN 71-ს.

საწარმოში მოქმედებს წარმოების IV ხაზი და იქმნება 200-ზე მეტი სახის ხის სათამაშო და სასუვენირი ნაკეთობა:

წარმოების ხაზი: I- ასაწყობი სათამაშოები - 80 სახეობა II-მექანიკური სათამაშოები - 50 სახეობა III-ფიგურული სათამაშოები - 55 სახეობა IV- სუვენირები - 30 სახეობა

სოციალური შედეგები

- „კოდალაში“ ინოვაციური მეთოდებით ახალ პროფესიას დაეუფლა 55-ზე მეტი შშმ პირი და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა;
- საწარმოში დასაქმებულთაგან 17 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია;
- დასაქმებულ პირთა ანაზღაურება შეესაბამება შრომითი ბაზრის განაკვეთს;
- მოზარდი თაობისთვის შემუშავდა „შრომითი გაკვეთილების“ პროგრამა, რაც ხელს უწყობს მოზარდებისა და ახალგაზრდების პროფესიული სწავლების განვითარებას.

საკონტაქტო ინფორმაცია

კოტე სვანაძე

(+995) 599743547, 599585841

kodalasoc@gmail.com

ketevankikilashvili@gmail.com

www.kodalasoc.ge

FB:@woodwork.kodala

რუსთაველის გამზირი #23,
თბილისი, საქართველო

შემეცნებითი საშუალებები

14. ჩუ

სამაგიდო თამაში ჟესტური ენის პოპულარიზაციისთვის

სოციალური საწარმოს შესახებ

ჩუ არის ჟესტური ენის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი სოციალური საწარმო, რომელიც სამაგიდო თამაშების მეშვეობით ცდილობს საზოგადოებაში თანაბარი შესაძლებლობების გაჩენას.

„ჩუს“ პროდუქციით თამაშის პროცესში მოთამაშეები სწავლობენ სიტყვებს ჟესტურ ენაზე, რაც ხელს უწყობს სოციალიზაციის პროცესს.

სოციალური საწარმოს მისია

სმენის შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ჟესტური ენის პოპულარიზაციის გზით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სამაგიდო თამაშები, რომლებიც აგებულია ყველასათვის საყვარელი ძველი თამაშების პრინციპებით. ის ხელს უწყობს ჟესტური ენის მარტივად დასწავლას და მეხსიერების განვითარებას.

რეკომენდირებულია 6 წლიდან ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის.

კორპორაციულ დამკვეთებს საწარმო სთავაზობს არსებული სამაგიდო თამაშების მოდიფიცირებას - სიტყვების და დიზაინის შერჩევას მათ ინტერესებიდან გამომდინარე.

დაინტერესებულ პირებს საწარმოს წარმომადგენლები სთავაზობენ სამაგიდო თამაშების შეჯიბრის მოწყობის სერვისს ინსტრუქტორის თანხლებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი,საქართველო

სალომე წიქვაძე

(+995)568610330 chu.social@gmail.com @chugeorgiangame

15. ჰერა

აუდიო-მულტი წიგნები

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმოში „აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“ მიმდინარეობს ინტელექტუალური პროდუქტის გამოშვება აუდიო და მულტი წიგნების სახით.

სოციალური საწარმოს მისია

უსინათლო, მცირემხედველი, სმენის შეზღუდვის მქონე და სმენადაქვეითებულ ბენეფიციართა თანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციასა და ლიტერატურაზე;უსინათლო ბენეფიციართათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა ინფორმაციასა და სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაზე, ასევე დევნილი (აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან) უსინათლო პირების დასაქმება.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს აუდიო-მულტი საშუალებებს. აუდიო წიგნებს.

სოციალური შედეგები

- 2014 წელს პირველად საქართველოში შეიქმნა აუდიო წიგნების ინტერნეტ-ბიბლიოთეკა www.abh.ge
- საწარმოში დასაქმებულია 15 ადამიანი, აქედან 4 მკვეთრად გამოხატული შშმ პირი, 3 მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი და 4 ომის ვეტერანი
- უზრუნველყოფილია უსინათლო, მცირემხედველი, სმენის შეზღუდვის მქონე და სმენადაქვეითებულ ბენეფიციართა თანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციასა და ლიტერატურაზე;
- 2014 წლიდან სოციალური საწარმო მუშაობს მოგებაზე და მიღწეულია ორგანიზაციის ეკონომიკური მდგრადობა.

საკონტაქტო ინფორმაცია

ხვიჩა გუნია

+995 555 02 12 36

abkusin@hotmail.com

FB: @audiohera


გურამ
ლოჩანაშვილი
საქოსელი ჰიჩველი
თბილისი 2015

ალბერტ
ფაფავ�i
ლექსები
თბილისი 2015

ავხაზეთის უნივერსიტეტი
და ყრუთა კავშირი „ჰერა"
ლეონ ქიაჩელი
თავადის ქალი მაია
ალექსანდრე (ალექსანდრე თარხნიშვილი)
მამეტუკი
ნიკო ლორთქიფანიძე
1. ფრაგედია უმგირიდ 2. გული
3. საქართველო იყიდება
4. თავსაფრიანი დედაკაცი
თბილისი 2015

გარემოს დაცვა

16. მწვანე საჩუქარი
17. კავკასიური სოჭის სანერგე

16. მწვანე საჩუქარი

მეორადი ქაღალდის პროდუქცია
გარემოს გადასარჩენად

Green Gift

სოციალური საწარმოს შესახებ

“მწვანე საჩუქრის” ამბავი მეგობრების სისრულეში მოყვანილი იდეაა, რომლებმაც გადაწყვიტეს სამი მნიშვნელოვანი რამ - გარემოზე ზრუნვა, მათი შრომა და ამ პროცესით სხვა ადამიანების დაინტერესება ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ. შედეგად კი გაჩნდა სასარგებლო ბიზნესის სრულიად ახალი მოდელი, რომელიც შექმნის დღიდან მუდმივად ვითარდება და უკეთესობისკენ ცვლის ადამიანებსა და გარემოს.
„მწვანე საჩუქარი“ უზრუნველყოფს ქაღალდის ნარჩენების შეგროვებას და მეორადი ქაღალდისგან დამზადებული პროდუქციის რეალიზაციას.

სოციალური საწარმოს მისია

გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობა ნარჩენების მართვის პოლიტიკის გაძლიერებით, ინფორმირებულობის გაზრდითა და ნარჩენების მართვის კულტურის პოპულარიზაციით საზოგადოებაში.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

„მწვანე საჩუქარი“ მომხმარებელს სთავაზობს კორპორაციულ სერვისებს და მეორადი ქაღალდით დამზადებულ სხვადასხვა სახის პროდუქტებს:

- ქაღალდის ნარჩენების შეგროვების სერვისი - დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის საწარმო ნარჩენების შესაგროვებელ ყუთებსა და შეგროვებული ქაღალდის ტრანსორტირებას უზრუნველყოფს.
- კოვერტები (ბრენდირებით ან მის გარეშე) - დიპლომატიური კონვერტი (DL ფორმატი/ ზომა 22X11 სმ), საშუალო (C5 ფორმატი/ 20X27 სმ) და დიდი ზომის კონვერტები (C4 ფორმატი/ ზომა 22X32 სმ)
ქაღალდის ჩანთები (ბრენდირებით ან მის გარეშე) - 3 სხვადასხვა ზომა - პატარა (11X3X17 სმ), საშუალო (15X6X20 სმ) და დიდი (18X10X25 სმ);
- საკანცელარიო მასალები - ბლოკნოტები (ბრენდირება მხოლოდ ყდის ან ბრენდირება ყდის+შიდა გვერდების), ფლიპჩარტები, საბეჭდი ქაღალდი (ა4 და ა3 ფორმატი), ბროშურები, სავიზიტო ბარათები, ფლაერები და ა.შ.;
  შესაფუთი ქაღალდი (ბრენდირებით და მის გარეშე) - ბრენდირებული ქაღალდის მაქსიმალური ზომა A2 ფორმატი (42X60 სმ), დაუბეჭდავი ა1 ფორმატი (60X80 სმ);
- საახალწლო შეთავაზება - მისალოცი ბარათები, კონვერტები, სხვადასხვა ზომის და ფორმის სასაჩუქრე ჩანთები, საახალწლო დიზაინით ბრენდირებული შესაფუთი ქაღალდები და საჩუქრების შეფუთვის სერვისი.

სოციალური შედეგები

გარემოს დაცვა

▶ საწარმოს დაარსებიდან დღემდე შეგროვდა 15 ტონა მაკულატურა და გადამუშავდა 8,3 ტონა. გადამუშავებული ქაღალდით დაიზოგა 141 ხე, 23 240 ლ. ნავთობი და 219 950 ლ. წყალი.

ინფორმირებულობის გაზრდა

▶ ჩატარდა 15-მდე საინფორმაციო შეხვედრა ნარჩენების მართვის თემაზე სასწავლო დაწესებულებებსა და ახალგზრდულ კლუბებში.

▶ 100-მდე პარტნიორ ორგანიზაციაში განთავსებულია ქაღალდის შესაგროვებელი მწვანე ყუთები.

დასაქმება

▶ საწარმოში დასაქმეულია 5 ადამიანი (ნახევარ განაკვეთზე) მძღოლი, ბუღალტერი, მბეჭდავი, დიზაინერი და მტვირთავი. განხორციელებული პროექტის ფარგლებში ორმა სმენადაქვეითებულმა ახალგაზრდამ შეისწავლა გრაფიკული დიზაინის პროგრამები, რის შემდეგაც დასაქმდა საწარმოში. დამატებით, პერიოდულად საქმდება 10-მდე სტუდენტი.

საკონტაქტო ინფორმაცია

მარინა ბენდელიანი
(+995) 555 507383
Greengift.geo@gmail.com
www.greengift.ge
FB: @Mtsvanesachuqari
დიდი დიღომი მე-3 მ.რ, 14 კორპ., თბილისი, საქართველო

17. კავკასიური სოჭის სანერგე

კავკასიური სოჭის სანერგე მეურნეობა საქართველოში

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „კავკასიური სოჭის სანერგე მეურნეობა“ ხელს უწყობს საქართველოში კავკასიური სოჭის განვითარებას, მის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდების ჩართვას ბუნების დაცვის საქმეში. საწარმო შეიქმნა ააიპ „Green Life”-ის ბაზაზე 2016 წელს და წამოწყებამ წარმატებით გაიარა პირველი ეტაპი, რომელიც კავკასიური სოჭის ცნობადობის ამაღლებასა და პოპულარიზაციას გულისხმობდა.

Green Life არის კომპანია, რომელიც თანამშრომლობს ევროპულ ორგანიზაციებთან. ის, ასევე, არის ინოვატორი საქართველოს ბაზარზე კავკასიური სოჭის ნერგების პოპულარიზაციის მხრივ. კომპანია მუშაობს, რათა საქართველოში დანერგოს სოჭის გირჩებიდან საშობაო ხის გამოყვანის მრავალწლიანი ევროპული გამოცდილება.

სოციალური საწარმოს მისია

საქართველოში უზრუნველყოს მწვანე, ჯანსაღი და სუფთა მომავალი კავკასიური სოჭის გირჩებიდან საშობაო ხის გამოყვანის ევროპული გამოცდილების დანერგვისა და მეურნეობის განვითარების გზით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია

სანერგე მეურნეობა მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ასაკის ნერგებს, კერძოდ:

- 2 წლიანი კონტეინერში გამოყვანილი კავკასიური სოჭის ნერგები;
- 3 წლიანი კონტეინერში გამოყვანილი კავკასიური სოჭის ნერგები.

კავკასიური სოჭის ნერგები წარმატებით იყიდება ახალი წლის პერიოდში. საწარმო აქტიურად თანამშრომლობს კორპორაციულ მომხმარებლებთან საახალწლო საჩუქრების დაკვეთებზე.

სოციალური შედეგები

- საქართველოში დაინერგა ტრადიცია შობა-ახალი წლის შეხვედრა ცოცხალ ნერგთან ერთად. უკვე რამდენიმე ათასი კავკასური სოჭის ნერგი შევიდა ქართულ ოჯახებში. აღნიშნული ნერგები მოქალაქეებმა სადღესასწაულო დღეების შემდგომ გადარგეს კერძო ნაკვეთში და ტყის ტერიტორიაზე. კავკასური სოჭის ნერგები დაირგო ბორჯომის პარკში.
- სანერგემ დაიწყო კავკასიური სოჭის ნერგების გამოყვანა და ასევე ევროპული სანერგეებიდან შემოტანილი, ქართული თესლიდან გაზრდილი ნერგების ადაპტირება ქართულ კლიმატზე.
- დასაქმდა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა, გადამზადდა სტუდენტთა ჯგუფები, სადაც მათ შეისწავლეს სასათბურე მეურნეობის მართვა.

საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი შანიძე
(+995)595939922
greenlifegifts@gmail.com
www.greenlifegeorgia.wordpress.com
FB: @GeorgiaGreenLife
სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი, თბილისი, საქართველო

სოციალური სერვისები

37. მუსთერაპიული ცენტრი
38. სახლი საზღვრების გარეშე
39. დღეგრძელთა სახლი ანასეულში
40. ცისარტყელა

18. ბაბალე

ხის, ტექსტილისა და კერამიკის მრავალფეროვანი
ნივთები და სხვადასხვა აქსესუარები

სოციალური საწარმოს შესახებ

კრეატიული დიზაინით დამზადებული ხის, ტექსტილისა და კერამიკის პრაქტიკული და დეკორატიული ნივთები და აქსესუარები „ბაბალეს“ ნიშაა. შემოქმედებითი იდეების ავტორები ხშირად საწარმოში დასაქმებული - განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანები არიან.

2014 წელს, მშობლების ინიციატივით შექმნილი შემოქმედებითი სახელოსნო 2 სივრცეს აერთიანებს. სამხატვრო სახელოსნოს - სასწავლო და სამუშაო პროცესისთვის და სალონს, სადაც მომხმარებელს მზა პროდუქციის შეძენა შეუძლია.

სოციალური საწარმოს მისია

ინტელექტუალური დარღვევებისა და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა პროფესიული გადამზადების, დასაქმებისა და მათი ოჯახების გაძლიერების გზით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

საწარმოში დამზადებული პროდუქცია მრავალფეროვანია და კორპორაციული შეკვეთისას მორგებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე:

- საკანცელარიო ნივთები;
- ნაჭრის ჩანთები;
- დეკორატიული და პრაქტიკული ნივთები ინტერიერის დიზაინისთვის;
- სადღესასწაულო ნივთები და აქსესუარები;

კორპორაციული სერვისის სახით საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ჩანთებზე ბეჭდვის მომსახურებას, საოფისე ბრენდირებულ ნივთებსა და სხვადასხვა სასაჩუქრე ნაკრებს.

სოციალური შედეგები

- ბაბალეს 20 მოზარდი ბენეფიციარიდან 5 დასაქმდა სხვაგან. დანარჩენები კი პროფესიულ სასწავლებელში სწავლობენ.

- ბაბალეში დასაქმებულია 16 შტატიანი თანამშრომელი, მათ შორის 6 -შშმ პირი, 5 შშმ პირის მშობელი და ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი.

- პერიოდულად, საწარმო დროებით სამუშაო შესაძლებლობას ქმნის სტუდენტებისთვის.

- ბავშვთა ინკლუზიურ სამხატვრო სტუდიაში, რომელიც ფუნქციონირებს „ბაბალეს“ ფარგლებში, 21 მოზარდს შორის 7 შშმ პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ისარგებლოს ხატვის შემსწავლელი კურსით.

საკონტაქტო ინფორმაცია

ლია ტაბატაძე

(+995)591974351 babaleinfo@gmail.com

www.babale.ge

FB:@babalestore

ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 30ა

დეკორაციები და საყოფაცხოვრებო ნივთები

19. სოციალური თერაპიის სახლი

სოციალური საწარმოს შესახებ

“კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ” 1990 წელს დაარსდა და უზრუნველყოფს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ზრდასრული პირების მომსახურებას. დღის ცენტრის ბაზაზე არსებულ სახელოსნოებში, მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისა და პროფესიონალთა გუნდის ერთობლივი მუშაობით იქმნება სხვადასხვა სახის ხელნაკეთი დეკორატიული და პრაქტიკული გამოყენების ნივთები და აქსესუარები.

სოციალური საწარმოს მისია

საქართველოში სოციალური თერაპიის დანერგვა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო დღის ცენტრის მომსახურებას უწევს შშმ პირებს. დღის ცენტრის ფარგლებში ფუნქციონირებს 8 სახელოსნო: ქაღალდის მეორადი გადამუშავების, სანთლების, კრეატიული, ტექსტილზე და აქსესუარებზე ბეჭდვის, ლაზერული ჭრისა და გრავირების სახელოსნოები, ასევე, სტამბა და სადურგლო.
შესაბამისად, საწარმო მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან პროდუქციას, კერძოდ:

- ხის დეკორაციული ზარდახშები;
- დეკუპაჟის ტექნიკით შესრულებული კედლის საათები;
- ხის აქსესუარები სამზარეულოსთვის და ინტერიერისთვის;
- ხელნაკეთი სანთლები;
- ტექსტილის ჩანთები;
- მეორადი გადამუშავების ქაღალდით დამზადებული მისალოცი ბარათები და წიგნაკები;
- თექის და ტექსტილის თოჯინები და ა.შ

კორპორაციული მომხმარებლებისთვის საწარმო ამზადებს მათთვის სასურველი დიზაინის პროდუქციას.

სოციალური შედეგები

- საწარმოს მომსახურებით დღეისათვის 50 შშმ პირი სარგებლობს;
- სოციალური საწარმოს ბაზაზე მიმდინარეობს მომავალი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ უნარი, სოციალურ-თერაპიული მიდგომიდან გამომდინარე წარმართონ ურთიერთობა და შრომითი პროცესები განვითარების შეზღუდვის მქონე პირებთან ერთად.

საკონტაქტო ინფორმაცია

თამარ დვალიშვილი
(+995) 577400753
infoapnsc@gmail.com
FB:@APNSC
ძმ. უბილავების # 8, თბილისი, საქართველო

20.ტრენტინო

ავეჯის საწარმო

სოციალური საწარმოს შესახებ

„ტრენტინო“ 2011 წელს დაარსდა. საწარმო აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური იტალიური დაზგა-დანადგარებით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. „ტრენტინოში“ აწარმოებენ ავეჯისა და შიდა კარების ფართო სპექტრს ინდივიდუალური შეკვეთით, მომხმარებლის სურვილისა და დიზაინის გათვალისწინებით.

სოციალური საწარმო ამზადებს და ხელობას ასწავლის ახალგაზრდებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. გარდა ამისა, შემოსავლის გარკვეული ნაწილი ხმარდება ქველმოქმედებას.

სოციალური საწარმოს მისია

სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის გზით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია

საწარმო მომხმარებელს მრავალფეროვან პროდუქციას სთავაზობს:
სამზარეულოს, საძინებლის, სააბაზანო და საბავშვო ოთახის ავეჯი;
TV-ავეჯი, კარადები და კარები.

სოციალური შედეგები

შემოსავლის ნაწილი ხმარდება დამფუძნებელი ორგანიზაციის “საქართველოს კარიტასის“ პროექტების თანადაფინანსებას.

საკონტაქტო ინფორმაცია

ილია ვოლკოვი

(+995) 595993080; 599181360

Info@trentino.ge

www.trentino.ge

ვახტანგ ნინუას #3, თბილისი, საქართველო

21. წნული

მოწნული ნივთები, ინტერიერის აქსესუარები და ავეჯი კასპიდან

სოციალური საწარმოს შესახებ

2016 წელს, კასპის შშმ პირთა კავშირის ბაზაზე დაფუძნდა სოციალური მისიის მქონე საწარმო „წნული“, რომელმაც საქმიანობა მკაფიო მიზნებითა და აქცენტებით დაიწყო. საწარმო დასაქმებულ ბენეფიციარებს სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ სამუშაო სივრცეს. შშმ პირთა სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური ჩართულობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საწარმოს მთავარი ორიენტირია.

სოციალური საწარმოს მისია

კასპის რაიონში მცხოვრები შშმ პირების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიული განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, მათი სამუშაო უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

საწარმო ბუნებრივად მოპოვებული რესურსისგან (ნედლეულისგან) ამზადებს არქაული ტიპის აქსესუარებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ინტერიერსა და ექსტერიერზე გათვლილ პროდუქციას. ეს არის ტრადიციულისა და თანამედროვე დიზაინის კომბინაცია, მორგებული ყველა თაობისა და გემოვნების მომხმარებელზე, რაზეც ნაწარმის ხარისხი, ნაირსახეობა და ფართო არჩევანიც მეტყველებს.
ამ ეტაპზე საწარმოში მზადდება რამდენიმე სახის დაწნული პროდუქცია.
სამომხმარებლო ნივთები:

- თეფში;
- სახილე ;
- კალათი;
- სუნდუკი;
- სანათი;
- სკივრი;
- მოწნული ბოთლი.

საწარმოში ასევე მზადდება განსხვავებული ინტერიერის ნივთები, აქსესუარები და ავეჯი.

სოციალური შედეგები

- 2017 წელს საწარმომ ადგილობრივ შშმ პირებს წნული პროდუქციის დამზადების ტექნიკები შეასწავლა და გადამზადებული პირებიდან 5 ბენეფიციარი დაასაქმა;
- 2018 წლის, ნოემბრის თვიდან საწარმო იწყებს გადამზადების მეორე ეტაპს, რის შედეგადაც მინიმუმ 8 ბენეფიციარი შეისწავლის ხელსაქმეს და დასაქმდება.

საკონტაქტო ინფორმაცია

დავით პარკაძე
(+995) 551773774
tsnuli.ts0@gmail.com
Davitparkadze@gmail.com
www.tsnuli.ge
FB: წნული • Tsnuli
გრიშაშვილის #4. კასპი,საქართველო

დეკორაციები და საყოფაცხოვრებო ნივთები

ნატურალური პროდუქტები

22.აგამა
23. აგრო აგორა
24. თემი
25. ერთად
26. ლელის თაფლი
27. სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი

22. აგამა

ეკოლოგიურად სუფთა
სოფლის მეურნეობის პროდუქცია

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო "აგამა" დაფუძნდა 2012 წელს ფონდი "აფხაზინტერკონტის" მიერ და განთავსებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში. საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციას და ხელს უწყობს სამიზნე ჯგუფების დასაქმებას.

საწარმოს საქმიანობის შედეგად, მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის გაიზარდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. მთავრი აქცენტი მიმართულია მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში ინდივიდუალური მეწარმეობის წამოწყებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების სფეროში, საწარმოს საქმიანობა ხშირად იწვევს სტუდენტებისა და ახალგაზრდების დაინტერესებას.

სოციალური საწარმოს მისია

იმერეთის რეგიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული იძულებით გადაადგილებული პირების დასაქმების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და გადამუშავება.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

საწარმო მომხმარებელს სთავაზობს სასათბურე მეურნეობაში მოყვანილ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, კერძოდ:

- კიტრი;
- მწვანილები;
- მარწყვი;
- მარწყვის მურაბა;
- მარწყვის კომპოტი;
- მარწყვის ჯემი.

სოციალური შედეგები

- საწარმოში 30-მა ბენეფიციარმა გაიარა პრაქტიული სწავლების კურსი; მათ შორის 10 ბენეფიციარი დასაქმდა საწარმოს ხელშეწყობით, ხოლო დანარჩენმა ბენეფიციარებმა წამოიწყეს საკუთარი საქმიანობა;

- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერისტეტის აგრარული ფაკულტეტის 80-მა სტუდენტმა საწარმოში გაიარა პრაქტიკული სწავლების კურსი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ნინოშვილის ქუჩა
არჩილ ელბაქიძე

(+995 0431) 26 48 61; 599170805

info@aic.org.ge

www.aic.org.ge

#101, ქუთაისი, საქართველო

23. აგორა

იხვისა და თევზის მეურნეობა მარნეულში

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო აგრო-აგორა წარმოადგენს იხვისა და თევზის ინტეგრირებულ მეურნეობას. აგრო-აგორამ საქმიანობა 2018 წელს, მარნეულის რაიონ სოფელ ყულარში, ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო.

აგრო-აგორა მარნეულის რაიონში მცხოვრებ მოწყვლად ჯგუფებს უქმნის დასაქმებისა და გადამზადების შესაძლებლობებს.

სოციალური საწარმოს მისია

ინოვაციური სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით მარნეულის რაიონში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირების, ეკო-მიგრანტების, სოციალურად დაუცველი პირების დასაქმება და სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

- პეკინური იხვის ხორცი;
- ცოცხალი იხვი;
- ალაზნის ლოქო.

სოციალური შედეგები

- საწარმოში მუდმივად დასაქმებულია ორი იძულებით გადაადგილებული პირი;
- გადამზადება გაიარა სამმა ბენეფიციარმა, რომლებიც ეტაპობრივად დასაქმდებიან საწარმოში.

საკონტაქტო ინფორმაცია

თენგიზ სვანიძე
(+995)599 501 872
svanidze.tengiz@gmail.com
მარნეულის რაიონის სოფელი ყულარი

24. თემი

ბიო პროდუქტები და მიზნობრივი ჯგუფების საცხოვრისი გრემში

სოციალური საწარმოს შესახებ

თემი ერთ-ერთი პირველი სოციალურად ორიენტირებული, არამომგებიანი საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო ე.წ. "პოსტსაბჭოთა სივრცეში", რომელმაც არა- ინსტიტუციური გარემო შექმნა სოციალურად დაუცველთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის. სოციალურად დაუცველი მაცხოვრებლებისთვის თავშესაფრის მიცემის, ოჯახური გარემოს შექმნის, დასაქმების შესაძლებლობების გაჩენის, მათი სამუშაო უნარების გაუმჯობესების მიზნით, თავისი დაფუძნების დღიდან, 1991 წ. გაზაფხულიდან, თემი ორგანულ/ბიო - სოფლის მეურნეობას მისდევს.

1991-2004 წლებში, 6.7 ჰა ვენახი გაშენდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. გრემში (შვინდმიწები), ქინძმარაულის მიკროზონაში. რქაწითელის, მწვანისა და საფერავის ვენახებს „კავკასსერტი"-ს ორგანული/ბიო სერტიფიკატი გააჩნია. ღვინის წარმოება მხოლოდ საკუთარი ვენახების მოსავლით ხდება. პროცესს - გადამუშავებიდან ეტიკეტირებამდე - აღჭურვილობის მოხმარების ცოდნა სჭირდება, რასაც თემის მაცხოვრებლები და დაქირავებული თანამშრომლები ეფექტურად ფლობენ. ღვინის წარმოების პროცესში ჩართული თემის ბენეფიციარები და დაქირავებული პერსონალი პერიოდულად გადის გადამზადების კურსებსა და წვრთნებს პროფესიული განვითარებისა და საწარმოო უნარების გაუმჯობესების მიზნით.

სოციალური საწარმოს მისია

მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის შექმნას ისეთი უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო, რომელიც ხელს უწყობს პირადი შესაძლებლობების სრულად განვითარებას.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

პროდუქტი იქმნება პროფესიონალი მევენახე-მეღვინეებისა და თემის წევრების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ადამიანური რესურსის თითოეული რგოლის უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. პროდუქტმა უკვე რამდენჯერმე მოიპოვა აღიარება Winexpo Georgia-ზე ისეთ პროფესიონალთა შორის, როგორებიც არიან ტიმ ატკინი (MW), ჯონ სალვი (MW), ადამ ლეხმერი, ფელისიტი კარტერი და მსოფლიო დონის სხვა ექსპერტები.

ბოთლში ჩამოსასხმელად განკუთვნილი ღვინოების დაწმენდა ხდება ბუნებრივად, ფილტრაციის გარეშე. წარმოების ყველა ეტაპზე ღვინოები კონტროლდება ფიზიკო-

ქიმიურად და ორგანოლეპტიკურად. ამავე მიზნით, ბიო-სტანდარტების შესაბამისად, ორგანული

სტანდარტით დაშვებულ ჩარჩოებში, ხდება ღვინის სულფიტაცია.

საწარმო რამდენიმე სახის პროდუქციას სთავაზობს მომხმარებელს, კერძოდ:

- ქვევრის ბიო ღვინო: რქაწითელი(მშრალი) და საფერავი(მშრალი); თემის ნ/ტკბილი(წითელი);
- ჭაჭა;
- ვაშლის, ბროწეულისა და ყურძნის ნატურალური წვენები;
- სხვადასხვა ხილის ჯემები;
- ხელნაკეთი საოჯახო ნივთები.

გარდა ღვინისა, ტურისტულ ჯგუფებს შეუძლიათ ისარგებლონ სრული სერვისით, რომელიც მოიცავს:

- ველოტურები მარკირებული მარშრუტებით (მაღალი ხარისხის 20 ველოსიპედი ჩაფხუტებით);
- ღვინის დეგუსტაცია;
- სრული სეზონის რესტორანი ტრადიციული ქართული და ევროპული კერძებით (მინიმუმ 45 ლარიანი მენიუ);
- ჩურჩხელის ამოვლება, ხინკლის მოხვევა;
- რთველში მონაწილეობა(ყურძნის კრეფა/დაწურვა)- სეზონური;
- ქვევრის გახსნა;
- თემის ტური;
- ხალხური სიმღერები.

სოციალური შედეგები

- 49ბენეფიციარი(ობლები,მზრუნველობასმოკლებულიბავშვები;შშმპირები;ღარიბნი,უსახლკარონი; იზოლირებულნი და მარტოხელები; მარტოხელა დედები; დევნილები; ლტოლვილები; უმუშევრები; ხანდაზმულნი და სოციალურად დაუცველნი და ა.შ.), რომელსაც აქვს საცხოვრებელი სივრცე, საკვები და პირველადი საჭიროების საგნები, სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები; ცხოვრობს ოჯახურ, უსაფრთხო გარემოში, სადაც იძენენ / ავითარებენ პირადი ჰიგიენის, ურთიერთობების, შრომის ჩვევებს და აქტიურად მონაწლეობენ ე.წ. სოციალიზაციის სხვა პროცესებში;

- თემში შეძენილი გუნდური საქმიანოების, შრომის, პასუხისმგებლობის ჩვევების გამოყენებით, თემის ბენეფიციარების ნაწილი, რომელსაც ამის სურვილი ჰქონდა, თემის ხელშეწყობით, საქართველოს და უცხოეთის სხვა ქალაქებში დამოუკიდებელ ცხოვრებას აგრძელებს, არის წარმატებული, დასაქმებული და/ან სწავლობს. მათ შორის არიან უნივერსიტეტ დამთავრებული პირები;

ნატურალური პროდუქტები

საკონტაქტო ინფორმაცია

ზურა ლუარსაბიშვილი; აჩი ჭოტაშვილი

(+995)551 927 623; 591 633 633

contact@temi-community.org

www.temi-community.org

FB:@TEMI.community

ყვარლის რაიონი. სოფ. გრემი, კახეთი, საქართველო

25.ერთად

სვანური მარილი ტრადიციული რეცეპტით

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „ერთად“ დაარსდა 2012 წელს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ ფარგლებში, რომლის დამფუძნებლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან.

სოციალური საწარმო „ერთად“ აწარმოებს სვანურ მარილს „ზესხო“, უნიკალური სვანური რეცეპტის გამოყენებით. პროდუქცია იწარმოება ყველა საჭირო პროცედურების დაცვით, რის შემდეგაც იფუთება კომფორტულ ტარებში.

პროდუქციის წარმოება ინკლუზიურ სამუშაო გარემოში მიმდინარეობს და ასაქმებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

სოციალური საწარმოს მისია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა მათთვის დასაქმების შესაძლებლობის შექმნითა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია / სერვისი

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ქართულ ნატურალურ პროდუქციას, კერძოდ:

- 120 გრამიანი შეფუთვა;
- 200 გრამიანი შეფუთვა.

საწარმოს პროდუქცია მუდმივად გადის შემოწმებას და ფლობს შესაბამის ხარისხის სერტიფიკატს.

სოციალური შედეგები

საწარმოს საქმიანობის შედეგად გადამზადდა 5 შშმ ქალი და 2 შშმ კაცი;
პროდუქციის წარმოებაში დასაქმებულია 2 შშმ პირი;
დამფუძნებელი ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა;
მაღალი ხარისხის ქართული პროდუქტის წარმოება (ერთი წლის მონაცემებით, აწარმოეს 4160 ერთეული 200 გრამიანი შეფუთვა და 5000 ერთეული 120 გრამიანი შეფუთვა).

საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი ალავიძე

(+995) 591224460

zeskho.ge@gmail.com

www.ertad.com.ge @zeskho

წიწამური 22 კმ, მცხეთა, საქართველო

26. ლელის თაფლი

ნატურალური თაფლი ლაგოდეხიდან

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „ლელის თაფლი“ შეიქმნა 2016 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლელის“ და „ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის“ მიერ.

„ლელის თაფლი“-ს აქვს ფუტკრის მეურნეობა, რომელიც ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობაში ინდივიდუალური მეწარმეობის უნარების განვითარებას. სამეწარმეო პროცესი მიმდინარეობს ახალგაზრდების ჩართულობით, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული უნარების განვითარებასა და სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში მეწარმეობის წახალისებას.

პროდუქცია იწარმოება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში და გამოირჩევა განსაკუთრებული გემოთი.

სოციალური საწარმოს მისია

სოფლად მცხოვრები პირების პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა პრაქტიკული და თეორიული საგანმანათლებლო კურსების შეთავაზებითა და დასაქმების გზით.
სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ნატურალურ თაფლს, როგორც ბითუმად ისე სხვადასხვა ზომის ქილაში განთავსებულს.

სოციალური შედეგები

საწარმოში სეზონურად დასაქმებულია 2 პირი;
სოციალური საწარმოს მოგება რეინვესტირდება საქმიანობის განსავითარებლად და დამფუძნებელი ორგანიზაციების ბენეფიციარებისთვის უფრო მეტი საგანმამანთლებლო სერვისის უზრუნველსაყოფად.

საკონტაქტო ინფორმაცია

გელა თედეევი

(+995) 599187821

gela.leli@gmail.com

სოფელი ლელიანი, ლაგოდეხი, საქართველო

27.სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი

ნატურალური წვენები დანამატების გარეშე

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი“ შეიქმნა 2012 წელს ა(ა)იპ „ეთიკფინანსი“-ს მიერ გორის რაიონის სოფელ სობისში. სოფელი მდებარეობს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ.
სოციალური საწარმო წარმოადგენს ნატურალური წვენების მწარმოებელ მინი საწარმოს. საწარმოში მზადდება 100% ნატურალური პროდუქცია. ასევე, სოციალური საწარმოს ტერიტორიაზე გამოყოფილია სივრცე სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და კურსების ჩასატარებლადაც.

სოციალური საწარმოს მისია

კონფლიქტის ზონის მიმდებარე, სოფელ ქვემო სობისში ახალგაზდებისა და ქალების დასაქმების ხელშეწყობა, მათთვის სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავება და მიგრაციის შეჩერება.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ქართული ბაზრისთვის უნიკალურ პროდუქტს: 100 % ნატურალურ ხილის წვენებს შაქრისა და წყლის დამატებს გარეშე. წვენი იწარმოება ე.წ „ცივი პრესის ტექნოლოგიით“, რაც მაქსიმალურად უნარჩუნებს მას სასარგებლო ვიტამინებსა და საგემოვნო თვისებებს.

საწარმოში მზადდება:

- ვაშლის წვენი;
- ყურძნის წვენი;
- კომშის და ვაშლის ნარევი წვენი;
- ვაშლის ძმარი.

სოციალური შედეგები

2012 წელს საწარმომ საქმიანობა დაიწყო 7 თანამშრომლით. დღეის მდგომარეობით საწარმოში დასაქმებული ადგილობრივი ახალგაზრდებისა და ქალბატონების რიცხვი 25-მდე გაიზარდა. ყოველწლიურად გაზრდილი წარმოების და გაყიდვების მაჩვენებლები, სოციალურ საწარმოს აძლევს საშუალებას შეასრულოს თავისი მისია და ხელი შეუწყოს სოფლის განვითარებას.

საკონტაქტო ინფორმაცია

დავით ნიგურიანი

(+995)599536951

sobissuri@gmail.com

FB:@Sobissuri

სოფელი სობისი, გორის რაიონი, საქართველო

სობისური
ყურძნის წვენი
Grape Juice
100%
sobissuri

სობისური
ვაშლის წვენი
Apple Juice
100%
sobissuri

sobissuri
Apple Cider Vinegar
sobissuri
Apple Juice
sobissuri
Grape Juice
sobissuri

სერვისები

29. გუმბათი
30. თავისუფალი სივრცე
31. იალონი
32. ირის ჯგუფი
33. მეგობარი
34. მზიურის კაფე
35. ოჩოკემპი
36. რეა
37. რვას + 1
38. ჩირდილი - ხევსურეთის ტურისტული ცენტრი
39. ცოდნის კაფე და საცხობი ჭკვიანი გემო

28. გუმბათი

სასწავლო ცენტრი სოფელ გუმბათში

სოციალური საწარმოს შესახებ

სასწავლო ცენტრი გუმბათი წარმოადგენს სასწავლო ცენტრს წალკის რაიონში მცხოვრები ენობრივი ბარიერის მქონე ეთნიკური უმცირესობებისთვის.

სოციალური საწარმოს მისია

წალკის რაიონში მცხოვრები, ენობრივი ბარიერის მქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ქართული ენის პოპულარიზაცია, ინტეგრაციის ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და ამ გზით დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს სასწავლო ჯგუფებში გაწევრიანებას ერთიანი ეროვნული გამოცდების და საატესტატო პროგრამის შესაბამისად განსხვავებული საგნების სწავლების მიზნით.

სოციალური შედეგები

- 10-მდე ადგილობრივი ახალგაზრდისთვის ხელმისაწვდომი გახდა სასწავლო ცენტრის გამოყენების შესაძლებლობა, შედეგად აბიტურიენტები წარმატებით ჩაირიცხნენ მათ მიერ პრიორიტირებულ უნივერსიტეტში;

- საატესტატო გამოცდებისთვის ცენტრის სერვისი ხელმისაწვდომი გახდა 5 მოსწავლესთვის, ხუთივე მათგანმა წარმატებით ჩააბარა საატესტატო გამოცდები.

საკონტაქტო ინფორმაცია

ციცინო გობაძე
(+995) 551095742
cicino.gobadze@gmail.com
FB:@gumbatiorganisation
სოფელი გუმბათი, წალკის რაიონი.

29. თავისუფალი სივრცე

ინკლუზიური კაფე ბათუმში

სოციალური საწარმოს შესახებ

2017 წლიდან, ბათუმში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო-შემეცნებითი ინკლუზიური კაფე „თავისუფალი სივრცე“. თანამედროვე დიზაინი, საინტერესო სამაგიდო თამაშები, საკითხავი კუთხე და სივრცე მუსიკისთვის ქმნის ერთიანობას, რომელიც მოსაწონია განსხვავებული გემოვნების მქონე მომხმარებლებისთვის.
თავისუფალი სივრცე აერთიანებს საგანმანათლებლო და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ აქტივობებს, ამავდროულად წარმოადგენს ადგილს დასვენებისა და გართობისთვის.
კაფემ ფუნქციონირება დაიწყო ბათუმში მოქმედი ორგანიზაციის „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ ინიციატივით.

სოციალური საწარმოს მისია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პროფესიული უნარების განვითარებითა და კაფეში დასაქმების გზით, ასევე მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა გამოწვევების ადვოკატირებით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

- კაფეში ადგილზე მომსახურების და მიტანის სერვისი;
- სივრცის გაქირავება შეხვედრებისა და ტრენინგებისთვის;
- საჯარო შეხვედრების დროს სურდო თარჯიმნის მომსახურება.

კაფე თავისი ფუნქციონირებით ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებას, კერძოდ, იმ მომხმარებლებს, რომლებიც კაფემდე ველო ტრანსპორტით მიდიან 10%-იან ფასდაკლებას სთავაზობს.

სოციალური შედეგები

- კაფეში დასაქმებულია 5 შეზღუდუდული შესაძლებლობების მქონე პირი;
- კაფეში გაიმართა 150 ინკლუზიური, სოციალური, კულტურული ღონისძება;
- ფუნქციონირებს ჟესტური ენის ალტერნატიული სკოლა, სადაც 20 ახალგაზრდა და 10 საჯარო მოხელე სწავლობს ჟესტურ ენას;

- 2017 წელს, ჟესტური ენის ალტერნატიული სკოლის ფარგლებში 60 ახალგაზრდა გადამზადდა;
- კაფეში ფუნქციონირებს სატრენინგო კურსები, რომელიც უფასოდ სთავაზობს შშმ პირებს პროექტების წერისა და ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვა/განხორციელების ტრენინგებს;
- ფუნქციონირებს ველომოყვარულთა კლუბი, რომელიც საზოგადოებას ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ მოუწოდებს.

საკონტაქტო ინფორმაცია

ნინო ჩხაიძე
(+995)555121091
batumifreespace@gmail.com
FB: @FreeSpace.6
ზვიად გამსახურდიას #6, ბათუმი,საქართველო

Free

30. „იალონი“

ეზოს და ბაღის მოვლის სერვისი

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „იალონი“ საგურამოსა და მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებს სთავაზობს ეზოსა და ბაღის მოვლის სერვისს. საწარმო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს პროფესიული გადამზადებისა და დასაქმებისა საშუალებას აძლევს.
საწარმოს თანამშრომლებისთვის სასწავლო პროგრამასა და საწარმოს საქმიანობებში მონაწილეობა პროფესიული განათლებისა და დასაქმების პირველი გამოცდილებაა. ამასთანავე, დასაქმება, გარდა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისა, მათთვის შრომა-თერაპიის როლს ასრულებს.

სოციალური საწარმოს მისია

თანამედროვე შრომის ღია ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თვითრეალიზების შესაძლებლობების შექმნა, მათი და მათი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმისა და სტერეოტიპების მსხვრევა.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ხელმისაწვდომ ფასსა და გადახდის მოქნილ სისტემას. საწარმოს მრავალფეროვან მომსახურებას კიდევ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს მომხმარებლის საჭროებასა და სურვილზე მორგებული ინდივიდუალური სერვის პაკეტების მიწოდება.

ეზოს, ბაღის მოვლა

- გაზონის დაგება, მოვლა;
- ფართობის გათბვა, გაწმენდა, დაბარვა, დახვნა;
- ბუჩქებისა და ხეების დეკორატიული გასხვლა და ფორმირება;
- ტალავერის გასხვლა;
- მცენარეების შეწამვლა;
- მცენარეების დარგვა და დათესვა;
- ხეხილის, ნარგავებისა და ნათესების მორწყვა;
- ხეხილის ჩამოკრეფა;
- სქელქერქიანი ხეების გასუფთავება და შეთეთრება;
- მცენარეების შეფუთვა;

დასუფთავება

- ეზოს გაწმენდა ფოთლებისა და ნარჩენებისაგან;
- მოპირკეთებული ეზოს ქიმიური დასუფთავება;
- შეშის დამზადება და დასაწყობება;
- ნარჩენების დატვირთვა, გატანა;
- ეზოს გასუფთავება თოვლის საფარისგან.

სოციალური შედეგები

საწარმოს პროფესიული მომზადების სრული კურსი რვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა გაიარა და ოთხი მათგანი დასაქმდა.

საკონტაქტო ინფორმაცია

ნანა გაბესკირია
598121272
??@gmail.com
სოფ. საგურამო

31. მეგობარი

საერთო სამუშაო სივრცე და
კაფე-ბარი ზუგდიდში

სოციალური საწარმოს შესახებ

2017 წელს, ა(ა)იპ „ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის“ ინიციატივით, ქ.ზუგდიდში შეიქმნა სოციალური საწარმო - „მეგობარი“.
„მეგობარი“ აერთიანებს უსასყიდლო სამუშაო სივრცეს ახალგაზრდებისთვის, სადაც ეწყობა ტრენინგები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები და კაფე-ბარს, საიდან მიღებული შემოსავლითაც ახალგაზრდების იდეებს უჭერს მხარს.
ეს არის ადგილი, სადაც რეგიონის ახალგაზრდები იკრიბებიან, იდეებს ცვლიან, ღონისძიებებს გეგმავენ ან/და მართავენ.

სოციალური საწარმო მისია

სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საერთო სამუშაო სივრცის შექმნა, რომელიც მათ აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ სივრცე სამუშაო შეხვედრებისთვის, ტრენინგებისთვის, კონფერენციებისთვის, გამოფენებისთვის და ისარგებლონ საოფისე ტექნიკის მომსახურებით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

„მეგობარის“ სივრცე მრავალფეროვან მომსახურებას სთვაზობს მომხმარებელს, კერძოდ:
საერთო სამუშაო სივრცე ახალგაზრდებისთვის;
სივრცის გაქირავება საჯარო შეხვედრებისა და ღონისძიებებისთვის;
კაფე-ბარის მომსახურება;
საღამოს სივრცე ფუნქციონირებს, როგორც კაფე-ბარი და რეგიონის ახალგაზრდებს სთავაზობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: მუსიკალურ საღამოებს, კინოჩვენებებს, სპორტული თამაშების ტრანსლაციებს და ა.შ.

სოციალური შედეგები

▶ „მეგობარი“ წარმოადგენს მომსახურების მიმწოდებელ სოციალურ საწარმოს სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი, დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები პირებისთვის, რომლებიც გადამზადდნენ და დასაქმდნენ სოციალურ საწარმოში.

▶ პირველად ზუგდიდში ფუნქციონირებს კულტურულ/გასართობი და საგანმანათლებლო სივრცე, სადაც სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით არაერთი ღონისძიება განხორციელდა.
▶ სოციალური საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლებით ფინანსდება ახალგაზრდული იდეები და ინიციატივები.

საკონტაქტო ინფორმაცია

ედუარდ ფარცვანია
(+995) 599550057
youthforsamegrelo@gmail.com
FB:@megobar.ge
მეუნარგიას #12, ზუგდიდი,საქართველო

2 €
ZUCARIO

32. ახალი მზიური

მზიურის კაფე

სოციალური საწარმოს შესახებ

2016 წელს, ა(ა)იპ „მზიანის“ პროექტ „ახალი მზიურის“ ფარგლებში, საჯარო და კერძო სექტორის უპრეცედენტო მხარდაჭერით, შეიქმნა სოციალური საწარმო „მზიურის კაფე“. პროექტის ფარგლებში სრულიად განახლდა და აღიჭურვა „მზიურის კაფეს“ ისტორიული შენობა და მიმდებარე საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც მოიცავს ამფითეატრს და ბავშვთა სათამაშო მოედანს.
„ახალმა მზიურმა“ ნელ-ნელა მოიპოვა განსაკუთრებული ადგილის სტატუსი, რომელსაც აქ მომუშავე ადამიანები, ერთგული სტუმრები და განსხვავებული, მზიურისთვის დამახასიათებელი გარემო ქმნის.

სოციალური საწარმოს მისია

ნებისმიერი ადამიანისთვის შექმნას უნივერსალური სივრცე, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების რეალიზებას და მზიურის პარკის განვითარებას.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

„მზიურის კაფე“ მომხმარებელს სთავაზობს:

- ადაპტირებულ/ინკლუზიურ სოციალურ კაფეს ქალაქის ცენტრში, რეკრეაციულ ზონაში;
- კვების მიწოდების სერვისს სხვადასხვა ღონისძიებებზე;
- ღონისძიების გასამართ ინკლუზიურ სივრცეს, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით (როგორც კაფე, ასევე ამფითეატრი).

სოციალური შედეგები

- „მზიურის კაფე“ სრულად ადაპტირებული დაწესებულებაა, რომელიც თავისი მიმდებარე ინფრასტრუქტურით უკლებლივ ყველა ასაკისა და შესაძლებლობის ადამიანის საყვარელი თავშეყრის ადგილია;
- საწარმოში დასაქმდა 12 პირი;
- არსებობის მანძილზე „მზიურის კაფემ“ 50 000-მდე ვიზიტორს უმასპინძლა;
- პროექტ „ახალი მზიურის“ ფარგლებში გაიმართა 300-ზე მეტი შემეცნებითი ღონისძიება;
- განახლებული კაფეს საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით დაფინანსდა ისეთი შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები, რომელიც მზიურს ნებისმიერი შესაძლებლობის ადამიანებისათვის, ურთიერთობის, შემოქმედებისა და შემეცნების სივრცედ გადააქცევდა და ამგვარად მზიურის იდეის მიმართ გაზრდიდა საზოგადოებრივ ინტერესს.

საკონტაქტო ინფორმაცია

ანა გოგუაძე
(+995) 577687575
axalimziuri@gmail.com
http://newmziuri.ge/
FB:@akhalimziuri
ჭავჭავაძის I ჩიხი, #23, მზიურის პარკი, თბილისი, საქართველო

33. ოჩოკემპი

საბანაკე მომსახურება ლაგოდეხში

სოციალური საწარმოს შესახებ

ოჩო კემპი წარმოადგენს გარემოსდაცვით და ინკლუზიურ საბანაკე მომსახურებას ლაგოდეხში. ბანაკის სივრცე და ინფრასტრუქტურა მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს: სამანქანო გზა მიყვანილია უშუალოდ ბანაკის ტერიტორიამდე, შხაპი, სველი წერტილები და საპიკნიკე ადგილიც ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.
ოჩო კემპში ყველა დამსვენებლისთვის ხელმისაწვდომია: აღჭურვილი სამზარეული, საპიკნიკე ღია და დახურული სივრცეები, მაგიდები და სკამები, შხაპი და სველი წერტილები, კარვები დასაფენით და საძილე ტომრით.

სოციალური საწარმო მისია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა და მათთვის არსებული სოციალური სერვისების გამრავალფეროვნება.
გარდა ამისა, ბანაკი ემსახურება ადგილობრივი ახალგაზრდების არაფორმალური განათლებას.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

ოჩო კემპი მომხმარებლებს სთავაზობს კომფორტულ საბანაკე სივრცეს ლაგოდეხის ეროვნულ პარკში და კემპინგისათვის საჭირო აღჭურვილობას.
ოჩო კემპი იდეალური სივრცეა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებეისათვის: ბანაკი და დასვენება, განტვირთვა, სხვადასხვა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.
ოჩოკემპი დაინტერესებულ პირებს ასევე სთავაზობს მზარეულის მომსახურებას, გამოცდილ ტრენერთა გუნდს და ბანაკის ლიდერებს.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვიქტორია მიდელაური
(+995) 593944678
viktoriamidelauri@gmail.com
FB: ოჩო კემპი - Ocho Camp
ლაგოდეხის ეროვნული პარკი. შესახვევი ვაშლოვანის ქუჩაზე #117-თან.

34. რვას + 1

მულტიკულტურული სივრცე ოზურგეთში

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური კაფე 8+1 დაფუძნდა 2015 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ.
8+1 მდებარეობს ოზურგეთში და წარმოადგენს მულტიკულტურულ, შეხვედრებისა და ღონისძიებების გამართვის სივრცეს ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის.
კაფეს სახელი 1996 წელს შექმინილი ახალგაზრდული მოძრაობის - ლიდერთა სკოლის მიერ გამოცემული პირველი სახელისგან მომდინარეობს.

სოციალური საწარმო მისია

საზოგადოებისთვისმსოფლიოსსხვადასხვაკულტურისადატრადიციებისგაცნობა.ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა. ქ. ოზურგეთში ლიტერატურული კაფეს არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება დასვენება/მუშაობა კომფორტულ, მშვიდ, მყუდრო და თბილ გარემოში.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

კაფე „რვას +1“ მომხმარებელს სთავაზობს:
- საჯარო ლექციებს;
- გამოფენებს;
- მუსიკალურ ღონისძიებებს;
- საგანმანათლებლო შეხვედრებს;
- კინოჩვენებებს;
- არაფორმალურ შეხვედრებს.

კაფე ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე პირებისათვის

სოციალური შედეგები

- ოზურგეთში შეიქმნა ადაპტირებული კაფე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
- არსებობის მანძილზე კაფეში გაიმართა 100-მდე ღონისძიება;
- კაფეში დამკვიდრებულია საერთაშორისო მოხალისეობრივი კულტურა, უცხოელი მოხალისეები თავიანთი ქვეყნის ტრადიციებს და გამოცდილებას უზიარებენ ადგილობრივ ახალგაზრდებს;
- კაფე ქმნის 5 სამუშაო ადგილს 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის;

საკონტაქტო ინფორმაცია

ნონა სადრაძე
(+995) 593 11 50 40
ypuozurgeti@yahoo.com
FB:@cafe8plus1
გაბრიელ ეპისკოპოსის 3ა, ოზურგეთი.

35. „ჩირდილი“

კემპინგი/ტურისტული ცენტრი ხევსურეთში

სოციალური საწარმოს შესახებ

ტურისტული ცენტრი (კემპინგი/კაფე) „ჩირდილი“ შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ხევსურეთი და თემის“ ფარგლებში 2017 წელს. სოციალური საწარმო თავის თავში მოიაზრებს ორ მიმართულებას: პირველი - კემპინგი, სადაც შესაძლებელია ღამისთევა კარვებში, ბანაკების მოწყობა და ტურისტული ინვენტარის გაქირავება; მეორე - კვება და ღონისძიებების ორგანიზება.

სოციალური საწარმოს მისია

ხევსურეთის თემის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება მათი დასაქმების ხელშეწყობით; ხევსურეთის, როგორც გამორჩეულად საინტერესო კუთხის, პოპულარიზაცია და მდგრადი ტურიზმის განვითარება.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო ტურისტებს სთავაზობს მრავალფეროვან მომსახურებას, რომელიც მორგებულია მათ კონკრეტულ საჭიროებებზე და ინტერესზე, კერძოდ: ღამისთევა კარვებში; კვება; ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება; ადგილობრივი სამზარეულოს მასტერკლასები; ტრენინგებისა და საგანმანათლებლო საღამოების ორგანიზება; ლიტერატურული საღამოები; გიდის მომსახურება; ცხენის დაქირავება; მანქანის დაქირავება; ინვენტარის დაქირავება (კარავი, საძილე, პარალონი).

კარვებში შესაძლებელია 50-80 ადამიანის განთავსება, ხოლო კვება და ღონისძიებების დაგეგმვა შესაძლებელია 50-150 პერსონაზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

მამუკა არაბული; ნინო არაბული
(+995) 591554015; (+995) 555263368
chirdilicamp@gmail.com
www.chirdili.ge
FB:Camping Chirdili / კემპინგი ჩირდილი
ჩირდილი, დუშეთის რაიონი, საქართველო

36. ცოდნის კაფე

კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე წნორში

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „ცოდნის კაფე“ დაფუძნდა 2016 წელს ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივის“ ფარგლებში, 2018 წელს კი ორგანიზაციამ საქმიანობა გააფართოვა და დააფუძნა სოციალური საწარმო „ჭკვიანი გემო“.

„ცოდნის კაფეს“ არის სივრცე, სადაც შესაძლებელია კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების გამართვა როგორც ახალგაზრდების, ისე ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვისა და ზრდასრულებისთვის. თავისი საქმიანობით „ცოდნის კაფე“ ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდას.

„ცოდნის კაფე“ აერთიანებს შემდეგ სივრცეებს - კაფეს, არაფორმალური განათლების ცენტრს, მულტიმედია ბიბლიოთეკას, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინგლისურენოვან ბიბლიოთეკას, სამუშაო სივრცეს, რეზიდენციასა და წიგნის მაღაზიას.

სოციალური საწარმოს მისია

რეგიონში კულტურულ-საგანამანათლებლო სივრცის არსებობა, სადაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება დააგემოვნოს თანამედროვე და ტრადიციული კერძები. გამომუშავებული მოგებით საწარმო აფინანსებს ახალგაზრდებისა და პენსინერების სოციალურ აქტივობებს.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო აერთიანებს ყველა დეფიციტურ სივრცეს მუნიციპალიტეტში:

- ქართულენოვან მულტიმედია ბიბლიოთეკას 1000-ზე მეტი თანამედოვე წიგნითა და კომპიუტერებით;
- ინგლისურენოვან ბიბლიოთეკას;
- წიგნის მაღაზიას 10-ზე მეტი გამომცემლობის წიგნებით და დემოკრატიული ფასებით;
- არაფორმალური განათლების ცენტრს, სადაც იმართება სამუშაო შეხვედრები, დისკუსიები, კონოჩვენებები და სხვა აქტივობები;

  წარმოადგენს სოციალურ კაფეს მრავალფეროვანი მენიუთი

სოციალური შედეგები

- „ცოდნის კაფე“ გახდა ერთადერთი თავისუფალი სივრცე სიღნაღის მუნიციპალიტეტში შეხვედრებისთვის, ლიტერატურული საღამოებისთვის, დისკუსიების, კინოჩვენებების, ტრეინინგებისა და ვორქშოფებისთვის;

- სოციალურმა საწარმომ ბოლო 1 წლის განმავლობაში 134 კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობას უმასპინძლა, მათ შორის 2674 ბავშვს, ახალგაზრდას, ზრდასრულსა და ხანდაზმულს;
- „ცოდნის კაფეში“ 40-ზე მეტი ადამიანი უფასოდ სწავლობს ინგლისურ ენას. ამერიკელი მოხალისე ბავშვების, მოზარდების და ზრდასრულების სამ ჯგუფს აწვდის უფასო განათლებას;
- „ცოდნის კაფემ“ 20-ზე მეტ აქტიურ ახალგაზრდულ ჯგუფს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მისცა მოტივაცია დაეწყოთ ცოდნის კაფეს მსგავსი სივრცეების შექმნა;
- „ცოდნის კაფეს“ სივრცით სარგებლობა შეხვედრებისთვის ნებისმიერ ადგილობრივს უსასყიდლოდ შეუძლია;
- “ჭკვიან გემოში” დასაქმებულია 2 პირი

საკონტაქტო ინფორმაცია

(+995) 595 96 46 56
civicinit@gmail.com
FB:@tsodniscafe
წნორი, აღმაშენებლის III შესახვევი, სახლი N3

სოციალური სერვისები

37. მუსთერაპიული ცენტრი
38. სახლი საზღვრების გარეშე
39. დღეგრძელთა სახლი ანასეულში
40. ცისარტყელა

37. მუსთერაპიული ცენტრი

აღმოაჩინეთ მუსთერაპიის შესაძლებლობები

სოციალური საწარმოს შესახებ

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ალტერნატიული და ინოვაციური სივრცე „მუსთერაპიული ცენტრი“ 2016 წელს, შშმ პირებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ორგანიზაციის „მშობელთა ხიდის“ ბაზაზე შეიქმნა.
მუსთერაპია მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მიდგომაა, რომელიც თავისი დადებითი შედეგის გამო, სულ უფრო პოპულარული ხდება.
მუსიკალური თერაპია (MT) - ფსიქოლოგიური ინტერვენციაა, რომელიც იყენებს მუსიკის ექსპრესიულ ელემენტებს, როგორც ურთიერთქმედების ძირითად საშუალებებს. მუსთერაპიული მომსახურება მოიცავს შემოქმედებით, თერაპიულ და პედაგოგიურ-აღმზრდელობით ინტეგრირებული მუშაობის ფორმებს.

სოციალური საწარმოს მისია

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ალტერნატიულ მოდელზე - მუსთერაპიულ სერვისზე - ხელმისაწვდომობის ზრდა და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

სოციალური საწარმოს სერვისი

მუსთერაპიული ცენტრის მომსახურებაში შედის:

- მუსთერაპიული ცენტრის სპეციალისტების/ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ კლიენტის შეფასება და მისთვის ინდივიდუალური აბილიტაციის გეგმის შედგენა;
- თერაპიული ინტერვენცია - მოიცავს აუცილებელ მუსთერაპიას, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, დამატებით სპეციალური პედაგოგის დახმარებას, მეტყველების თერაპიას, ფსიქოლოგის დახმარებას, სენსორული ინტეგრაციის სპეციალისტის, ქცევითი (ABA) თერაპიის სეანსებს, აგრეთვე დამწყები პროფესიონალების და მშობელთა განათლების ტრენინგ - სემინარებს;
- ოჯახური გაკვეთილები - მშობელთან და ბავშვთან ინტეგრირებული სეანსები.

სოციალური შედეგები

- ცენტრის სერვისებით სარგებლობის შედეგად 100-მდე ბავშვმა და მოზარდმა გაიუმჯობესა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;

- საზოგადოებაში გაიზარდა მუსთერაპიული სერვისის ცნობადობა;
- მიღებული მოგება ხმარდება დამფუძნებელი ორგანიზაციის „მშობელთა ხიდის“ პროექტების თანადაფინანსებას.

საკონტაქტო ინფორმაცია

თეონა ყაჭეიშვილი

(+995)577473440

musictherapycenter@gmail.com

http://mtc.ge/

FB: @MusTherapyCenter

ნიკოლოზ გოცირიძის #2, თბილისი, საქართველო

38. სახლი საზღვრების გარეშე

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო „სახლი საზღვრების გარეშე“ დაარსდა 2015 წელს საინიციატივო ჯგუფის „ჩემი ხურვალეთის“ მიერ, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში.
სოფელი მდებარეობს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ. თავისი საქმიანობითა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული სერვისის შეთავაზებით საწარმო მალე გახდა წარმატებული. სოციალური საწარმოს მიზანია განსაკუთრებული საჭიროებების, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების ხანდაზმულთა მოვლა-პატრონობა. ასევე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.

სოციალური საწარმოს მისია

მარტოხელა და მზრუნველობამოკლებულ ხანდაზმულებზე სისტემატიური ზრუნვა, ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა და თემში სოციალიზაციის ხელშეწყობა.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო წარმოადგენს სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციას, რომელიც სოფელ ხურვალეთის და მიმდებარე სოფლების ხანდაზმულებს აწვდის შემდეგ სერვისებს:

შინ მოვლის სერვისი- ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მარტო მცხოვრები ხანდაზმული პირებისათვის, რომელთაც საკუთარი თავის მოვლა უჭირთ;

დღის ცენტრი - ბენეფიციარებს კვირაში სამი დღის განმავლობაში ემსახურება. გარდა იმისა, რომ ცენტრი შეხვედრებისა და სოციალიზაციის სივრცეს წარმოადგენს, ის სერვისით მოსარგებლეებს ჯანდაცვის საბაზისო მომსახურებას, ცხელ საკვებსა და საშხაპეებით სარგებლობის შესაძლებლობას სთავაზობს;

სადღეღამისო თავშესაფარი - ჯანმრთელობისათვის საზიანო პირობებში მარტო მცხოვრები ადამიანებისთვის 24 საათიანი მოვლის სერვისი.

სოციალური შედეგები

სოციალური საწარმო ემსახურება 60 შშმ და სოციალურად დაუცველ ხანდაზმულს, ასევე საწარმო ასაქმებს 17 ადგილობრივ მაცხოვრებელს.

საკონტაქტო ინფორმაცია

ლუდა სალია
(+995) 593199542
pavlo.b56@mail.ru
FB:@sakhlisazgvrebsgareshe
სოფელი ხურვალეთი, გორი, საქართველო

39. დღეგრძელთა სახლი

ხანდაზმულთა თავშესაფარი
ანასეულში

სოციალური საწარმოს შესახებ

სოციალური საწარმო - ხანდაზმულთა სახლი დაარსდა 2012 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის მიერ“.
სოციალური საწარმო წარმოადგენს სერვისის მიმწოდებელ სათემო მომსახურებას სოციალურად დაუცველი ხანდაზმულებისთვის.
24 საათიანი, ხარისხიანი ზრუნვის საშუალებით, საწარმო უზრუნველყოფს ოჯახურ გარემოსა და ღირსეულ სიბერეს ხანდაზმულთათვის, რომელთა განთავსება ზრუნვის სხვა ალტერნატიულ ფორმაში (ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნება, შინ ზრუნვა, დღის ცენტრი) მოცემული დროისთვის შეუძლებელია.

სოციალური საწარმოს მისია

მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზება ბუნებრივ ოჯახს მოწყვეტილი, სოციალურად დაუცველი ხანდაზმულებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ღირსეული სიბერე.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სოციალური საწარმო ხანდაზმულებს უზრუნველყოფს საბაზისო საცხოვრებელი პირობებით, სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცის სერვისით.

სოციალური შედეგები

- ▶ ხანდაზმულთა სახლი 26 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს უზრუნველყოფს 24 საათიანი ხარისხიანი ზრუნვის მომსახურებით;
- ▶ ხანდაზმულები უზრუნველყოფილები არიან ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის, ფსიქიატრისა და სხვა პროფესიონალური მხარდაჭერით მათი საჭიროებებიდან გამომდინარე;
- ▶ სოციალური საწარმო ასაქმებს 9 ადგილობრივ მცხოვრებს.

საკონტაქტო ინფორმაცია

მარინა თოფურია

(+995) 593332317

ypuozurgeti@yahoo.com

40. ცისარტყელა

სოციალური საწარმოს შესახებ

2013 წლიდან, თელავში, ყვარელში, ახმეტაში და გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები განვითარების შეფერხების ან ამ მხრივ რისკის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ამოქმედდა ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამა.
ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული პროგრამა საჭიროების მხოლოდ 1,6%-ს ფარავდა. გაჩნდა იდეა ისეთი მომსახურების განვითარების,რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ნებისმიერი ბავშვისთვის. 2017-2018 წწ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, ასეთი სერვისი თელავის მუნიციპალიტეტში შეიქმნა, სოციალური საწარმო „ცისარტყელას“ სახით. შედეგად, სახელმწიფო პროგრამის მომსახურებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაზარდა სერვისის ხელმისაწვდომობა.

სოციალური საწარმოს მისია

თელავსა და მთლიანად კახეთის რეგიონში, არსებული სახელმწიფო სერვისების ეფექტიანი განხორციელების ადვოკატირებითა და ახალი სერვისების განვითარებით, ხელი შეუწყოს ბავშვზე ზრუნვის სერვისების ხელმისაწვდომობას.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

განვითარების დარღვევის ან ამ მხრივ რისკის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-7 ასაკის ბავშვების დროული გამოვლენა და ჩართვა შესაბამის სერვისში - განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა; სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა; ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება; შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია.

მომსახურება მოიცავს:

- სამ სისტემას: პირველად ჯანდაცვას, სკოლამდელ დაწესებულებას და ოჯახს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა/განვითარება; რეფერალური სისტემის ამოქმედება, მულტიდისციპლინური გუნდის ჩართვა ამ სერვისში;
- პირველადი ჯანდაცვის მედპერსონალის, ან საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის მიერ გამოვლენილი სამიზნე ჯგუფის ბავშვების სიღრმისეული შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ (ადრეული განვითარების სპეციალისტი, მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური

თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი); ადრეული განვითარების დარღვევების იდენტიფიცირება (ბავშვის სოციალურ-ემოციური, მოტორული, შემეცნებითი, კომუნიკაციური და თვითმოვლითი უნარების განვითარების შეფასების საფუძველზე); დასკვნა/რეკომენდაციების შემუშავება მშობლისთვის, აღმზრდელისთვის; საჭირო შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის, მშობელთან თანამშრომლობით, განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება; მომსახურების გაწევა (ინდივიდუალური, ჯგუფური მუშაობა); არაუგვიანეს 6 თვისა, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, ხელახალი შეფასება/გადაფასება, პროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, მონიტორინგი.

პროგრამული მიმართულებებია:

ბავშვთა ადრეული განვითარება;
სკოლამდელი ინკლუზიური განათლება;
მშობელთა სკოლა.

სოციალური შედეგები

სერვისი ხელმისაწვდომია თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი 0-7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების ან ამ მხრივ რისკის მქონე და შშმ ბავშვისთვის;
2017 -2018 წლებში, განხორციელდა 548 ბავშვის განვითარების სკრინინგი; მ.შ 137 ბავშვის მშობელს გადაეცა რეკომენდაციები და მიიღო სპეციალისტის კონსულტაცია; 120 ბავშვია ჩართული „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში; 98 ბავშვია ჩართული თელავის მერიის მიერ დაფინანსებულ ადრეული განვითარების და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ქვეპროგრამებში.
მომსახურება გახდა პოპულარული. გაიზარდა მშობლების ცნობიერება ადრეული განვითარების მნიშვნელობის, მათი როლის შესახებ ბავშვის აღზრდის პროცესში. ყოველთვიურად იზრდება მიმართვების რაოდენობა;
მშობელთა სკოლა შესაძლებლობას აძლევს მშობლებს განივითარონ პოზიტიური მშობლობის უნარები, პოზიტიური მშობლობა ბავშვის სწორი განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია.

საკონტაქტო ინფორმაცია

ნაფარეულის ცენტრი - ნაფარეულის საბავშვო ბაღი
ნინო პაატაშვილი; ეკა ონიკაძე
(+995)593334224; (+995)595531684
ninopaatashvili@gmail.com
www.gpida.ge
თელავის ცენტრი - ჩოლოყაშვილი მე-3 ჩიხი, #3, თელავი, საქართველო

სოციალური სერვისები